აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
მიზანი 1.	ვაჭრობის სტატისტიკის სფეროს შემდგომი გაუმჯობესება				
ამოცანა 1.1.	საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშება (ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები)				
1.1.1. იმპორტირებული საქონლის ღირებულების გადაანგარიშება CIF - იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებიდან FOB - ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში.	CIF -იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებიდან FOB - ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავება	საქონლის იმპორტის სტატისტიკა FOB ფასებში გამოქვეყნებულია საქსტატის ვებგვერდზე: www.geostat.ge	სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	საქართველოს ეროვნული ბანკი	CIF - იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებიდან FOB - ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში გაანგარიშების მეთოდოლოგიის სამუშაო ვერსია შემუშავებულია.
მიზანი 2.	ევროკავშირის ტერიტორიაზე ექსპორტის ხელშეწყობა				
ამოცანა 2.1.	ევროკავშირის ტერიტორიაზე საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაცია				
2.1.1. ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო ღონისძიებებში, გამოფენებში და სავაჭრო მისიებში ქართული კომპანიების მონაწილეობის ხელშეწყობა	ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო ღონისძიებებში, გამოფენებსა და სავაჭრო მისიებში მონაწილე ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობა. ევროკავშირის ქვეყნებში გამართული გამოფენებისა და სავაჭრო მისიების რაოდენობა	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები www.enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში		2024 წლის განმავლობაში სააგენტოს დახმარებით მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს გერმანიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, იტალიასა და საფრანგეთში გამართულ 11 საერთაშორისო გამოფენასა და ერთ მოდის კვირეულის თანმდევ შოურუმში. ჯამურად მოცემულ ღონისძიებებზე სააგენტოს მხრიდან განხორციელდა 97 თანადაფინანსების ფაქტი.
ამოცანა 2.2.	მცირე და საშუალო ბიზნესების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება				
2.2.1. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა, სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში	თანადაფინანსებული საწარმოების რაოდენობა	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები www.enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში		2024 წლის განმავლობაში, უნივერსალური პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა 565 კომპანიის 648 სესხი/ლიზინგი, რომელთა ჯამური დამტკიცებული მოცულობა 487 მილიონი ლარია. აღნიშნული პროექტების ფარგლებში დაგეგმილია 1 მილიარდ ლარზე მეტი მოცულობის ინვესტიციის განხორციელება და 45,500-ზე მეტი სამუშაო ადგილის შექმნა.
ამოცანა 2.3.	მცირე და საშუალო ბიზნესების შესაძლებლობების განვითარება ექსპორტის მიმართულებით				
2.3.1. მცირე და საშუალო ბიზნესების ექსპორტის მენეჯერების გადამზადება	სერტიფიცირებულ ექსპორტის მენეჯერთა რაოდენობა	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები www.enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში	შერჩეული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება	2024 წლის განმავლობაში, ჩატარდა სამი ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო კურსი თბილისსა და ბათუმში, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 71 მენეჯერი.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
2.3.2. "Trade with Georgia" პლატფორმის პოპულარიზაცია და გამოყენების ზრდა	პლატფორმაზე დარეგისტრირებული კომპანიების რაოდენობა	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები www.enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში		2024 წელს, პლატფორმაზე დარეგისტრირდა 50-მდე კომპანია.
2.3.3. ექსპორტის სტიმულირების ტექნიკური დახმარების პროგრამის განხორციელება	მხარდაჭერილი ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების რაოდენობა	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები www.enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში		2024 წლის განმავლობაში, ტექნიკური დახმარების კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდა 26 კომპანია.
მიზანი 3.	ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის				
ამოცანა 3.1.	კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შესახებ შეთანხმების III-A დანართის შესაბამისად				
3.1.1. საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების, მათ შორის DCFTA-ის III-A დანართში მითითებული სექტორული დირექტივების ჰარმონიზებული სტანდარტების, საქართველოს სტანდარტებად მიღება	საქართველოს სტანდარტად მიღებული ევროპული და/ან საერთაშორისო სტანდარტების რაოდენობა	სააგენტოს გენერალური დირექტორის განკარგულებები სტანდარტების მიღების თაობაზე; საქართველოს სტანდარტების ელექტრონული პლატფორმა: www.sst.geostm.gov.ge	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		2024 წლის მდგომარეობით სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო მიერ საქართველოს სტანდარტად (სსტ) სულ დარეგისტრირდა 8,805 სტანდარტი, მათ შორის: • სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 235; • სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 8, 570; მიმდინარეობს ევროპულ სტანდარტებთან შემდგომი ჰარმონიზაციის სამუშაოები.
3.1.2. ტექნიკური რეგლამენტების მომზადება დირექტივებთან MID (დირექტივა გაზომვის საშუალებების შესახებ) და NAWI (დირექტივა არა ავტომატური ასაწონი საშუალებების შესახებ) კანონმდებლობის დაახლოების მიზნით; პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების განხორციელება ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2012/1025 რეგულაციასთან	მიღებული ტექნიკური რეგლამენტები; პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში შეტანილი ცვლილება	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	2024 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა - დადგენილება N480 ,,გაზომვის საშუალებების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" და დადგენილება N481 ,,არაავტომატური აწონის საშუალებების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტიცების თაობაზე" სტანდარტიზაციის სფეროში ევროპულ რეგულაციასთან (#1025) შემდგომი დაახლოების მიზნით გამოქვეყნდა (https://matsne.gov.ge) საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" (დოკუმენტის ნომერი: 4373-XVრს-Xმპ; გამოქვეყნების თარიღი: 31/07/2024), რომელშიც ასახულია აღნიშნული რეგულაციის მოთხოვნები.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით					
3.1.3. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის N476 დადგენილებით დამტკიცებულ „სამშენებლო პროდუქტების შესახებ“ ტექნიკურ რეგლამენტში ცვლილებების განხორციელება	საქართველოს მთავრობის დადგენილების ცვლილება	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	საქართველოს მთავრობის 2024 წლის 28 მარტის N106 დადგენილებით ცვლილება შევიდა „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში“ და განხორციელდა 101 ახალი სამშენებლო პროდუქტის დაფარვა.
3.1.4. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების განხორციელება ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2019/1020 და 2023/988 რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით	პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში შეტანილი ცვლილება	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დამმობილების პროექტის (საქართველოს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ზედამხედველობის გაძლიერება) ფარგლებში მოწვეული ექსპერტების დახმარებით მომზადდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ცვლილების პროექტის პირველი ეტაპი, რომელიც მიმდინარე წლის 28 ივლისს მესამე მოსმენით მიიღო საქართველოს პარლამენტმა. აღნიშნული ცვლილებით გაფართოვდა ეკონომიკური ოპერატორების პასუხისმგებლობის ფარგლები და თითოეული სამართალდარღვევისთვის განისაზღვრა ჯარიმის ადეკვატური და პროპორციული ოდენობა. აღნიშნული ცვლილებები შესაბამისობაშია ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2019/1020 და 2023/988 მოთხოვნებთან.
3.1.5. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების განხორციელება ევროპის პარლამენტის და საბჭოს 765/2008 რეგულაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით	პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში შეტანილი ცვლილება	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი	მიმდინარე წლის ივლისის თვეში საქართველოს პარმანეტის მიერ მიღებულ იქნა ცვლილებები საქართველოს კანონში პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში. სხვა ნაწილებთან ერთად სრულად შეიცვალა კოდექისი მრ-9 თავი, რომელიც ეხება აკრედიტაციას. შეტანილი ცვლილებების საშუალებით მითითებულ თავში სრულად აისახა ევროკავშირის რეგულაციის 765/2008 მოთხოვნები და ასევე, საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17011-ის შესაბამისად ჩასწორდა ტერმინები.
3.1.6. ტექნიკური რეგლამენტის მომზადება ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესახებ წევრი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციის თაობაზე 2014 წლის 26 თებერვლის ევროპის	მიღებული ტექნიკური რეგლამენტი	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ტექნიკური რეგლამენტის ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესახებ დამტკიცების თაობაზე“.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
პარლამენტის და საბჭოს 2014/30/EU დირექტივის მიხედვით					
3.1.7. სამედიცინო მოწყობილობების შესახებ 2017 წლის 5 აპრილის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2017/745/EU და ინვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობების შესახებ 2017 წლის 5 აპრილის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2017/746/EU რეგულაციებთან დაახლოება	დაახლოების შედეგად მიღებული საკანონმდებლო აქტები	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		აღნიშნულ 2017/745/EU და 2017/746/EU რეგულაციებთან დაახლოების მიზნით მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულია „სამედიცინო მოწყობილობების შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი.
ამოცანა 3.2.	ტექნიკური რეგულირების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასებისა და ბაზრის ზედამხედველობის ადმინისტრირებისათვის საჭირო ინსტიტუციური და ინფრასტრუქტურული განვითარება				
3.2.1. პრიორიტეტული მიმართულებებით ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლების პროცესის გაგრძელება გაუმჯობესებული სერვისების მიწოდების მიზნით	შეთავაზებული სერვისების გაზრდილი რაოდენობა და დიაპაზონი (გაზომვის 1 მიმართულებით ეტალონური ლაბორატორიებისათვის ხელსაწყოების შეძენა)	გაცემული დაკალიბრების სერტიფიკატების რაოდენობა სააგენტოს წლიური ანგარიში	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		მიმდინარე წელს სააგენტოს მეტროლოგიის ინსიტიტუტის ფიზ-ქიმიური ეტალონური ლაბორატორიისათვის შეძენილ იქნა ალკომეტრი, ასევე ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური ლაბორატორიისათვის ტემპერატურის ციფრული კალიბრატორი.
3.2.2. მეტროლოგის სფეროში პრიორიტეტული ეტალონური ლაბორატორიების საერთაშორისო აღიარების შენარჩუნების და/ან ახალი მიღწევისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება	სააგენტოს აღიარებული დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობების CMC ჩანაწერების რაოდენობა	ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს (BIPM) მონაცემთა ბაზა www.bipm.org	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		სააგენტოს საერთაშორისო დონეზე აღიარებული დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობების (CMC) ჩანაწერების რაოდენობა შენარჩუნებულია და შეადგენს 65 ჩანაწერს. საერთაშორისო აღიარების შენარჩუნებისა და გაზომვათა მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში მომზადდა ეტალონებისა და გაზომვის საშუალებების დაკალიბრების პროგრამები 2024 წლისათვის. ეტალონები/გამზომი საშუალებები ხელსაწყოები გაგზავნილია დასაკალიბრებლად. 2024 წლის ნოემბერ - დეკემბერში დასრულდა ხელსაწყოების დაკალიბრებები ჩეხეთში, პოლონეთში, თურქეთსა და გერმანიაში, რის შემდეგაც მოწოდებულ იქნა სააგენტოში 2024 წლის ანმავლობაში მიმდიარეობდა EURAMET-ის რეგიონალურ საკვანძო შედარებებში მონაწილეობა ტემპერატურული გაზომვების სფეროში. შედარების საბოლოო შედეგები ნოემბრის თვეშ გადაგზავნილ იქნა პილოთ ლაბორატორიასთან (CEM - ესპანეთის მეტროლოგიის ინსტიტუტი)

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					11 – 16 მარტის პერიოდში ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური ლაბორატორიის წარმომადგენლები მონაწილეობდენ key comparison (Subsequent comparison) CCT-K9.3X- შედარებაში (გაზომვებში მონაწილე ხელსაწყო SPRT). ასევე ისინი დაესწრნენ ესპანეთის მეტროლოგიის ცენტრში თერმომეტრის პირველად გაზომვების პროცესს და მიმოიხილეს შედარების დეტალები.
3.2.3. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვა სტანდარტების დეპარტამენტში ISO 9001:2015 შესაბამისად	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში დანერგილია ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ISO 9001:2015 შესაბამისად	სტანდარტების დეპარტამენტში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის, ISO 9001:2015 სერტიფიცირებისა თვის ევროპელი ექსპერტების ან/და სერთიფიკაციის ორგანოს წინასწარი (ე.წ. Pre-Audit) აუდიტის ანგარიში, გაცემულია შესაბამისობის სერთიფიკატი უფლებამოსილი აკრედიტირებული პირის მიერ	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		2024 წლის პირველ თებერვალს „Twinning პროექტის“ ფარგლებში სააგენტოს შერჩეული სერტიფიცირების ორგანოს მიერ ჩატარდა წინასწარი შეფასების აუდიტი (ე.წ. “Pre-audit”), რომლის ფარგლებში აღნიშნული ორგანოს წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ სტანდარტების დეპარტამენტის მიერ ენ ისო 9001:2015 სტანდარტის მოთხოვნის გათვალიწინებით შემუშავებული დოკუმენტებს, პროცედურებისა და არსებულ პრაქტიკას. აუდიტის შედეგების შეჯამებისას, ხაზი გაესვა დეპარტამენტის მიერ მიღწეულ პროგრესს, გამოითქვა რეკომენდაციები სისტემის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მიმდინარე წლის 21, 28 და 29 მაისს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში ევროკავშირის „ტვინინგ/TWINNING“ პროექტის მხარდაჭერით განხორციელდა საერთაშორისო ექპერტების ვიზიტი, რომლის ფარგლებში სტანდარტების დეპარტამენტმა წარმატებით გაიარა აუდიტი და დაასრულა სტანდარტების დეპარატმენტის სერტიფიცირების პროცედურა საქართველოს სტანდარტად მიღებული ევროპული სტანდარტის სსტ ენ ისო 9001:2015 „ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები“ შესაბამისად. მიმდინარე წლის 5 ივლისს მიიღო შესაბამისობის (EN ISO 9001:2015) სერთიფიკატი.
3.2.4. მეტროლოგიის სფეროში ახალი მიმართულებით სტანდარტული ნიმუშების - ISO 17034:2016 შესაბამისად სერვისების შეთავაზებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების გაგრძელება	მომზადებულია საერთაშორისო სტანდარტის ISO 17034:2016 - სტანდარტული ნიმუშების წარმოებისათვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტები და პროცედურები.	სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ანგარიში	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		მიმდინარე წლის 21-26 იანვარს და 4-7 მარტის პერიოდში TWINNING პროექტის ფარგლებში მეტროლოგიის ინსტიტუტის ფიზ-ქიმიური ლაბორატორიის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა სწავლება ISO 17034:2016 სტანდარტის მოქხოვნების შესაბამისად „სტანდარტული ნიმუშების მომზადება და სტაბილიზაცია ჰომოგენურობის შესახებ“. 3-15 მაისს ფიზ - ქიმიური ეტალონული განყოფილების წარმომადგენლებისათვის ტვინინგის პროექტის ფარგლებში ჩატარდა სწავლება - ელექტროლიტთა ხსნარების ხვედრითი ელექტროლიტური გამტარებლობის სტანდარტული ნიმუშების წარმოების პროცედურების განხილვა ISO 17034 სტანდარტის შესაბამისად. 15-19 აპრილს ჩატარდა გარე აუდიტი ISO 17034 სტანდარტის შესაბამისად, ხოლო 11-13 ივნისს ტვინინგ პროექტის ფარგლებში მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგები ,, შედარებების ორგანიზაცია და მართვა

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					მეტროლოგიის ინსტიტუტებისა და ლაბორატორიებს შორის სტანდარტის ISO 17043 მოთხოვნების მიხედვით“. 16 – 18 ივლისს ჩატარდა გარე აუდიტი ფიზ - ქიმიის ეტალონურ განყოფილებაში ტვინინგის ექსპერტის მიერ ელექტროლიტთა ხსნარების ხვედრითი ელექტროლიტური გამტარებლობის სტანდარტული ნიმუშების წარმოების ISO 17034-ის მიხედვით, რომელიც დაამთავრდა წარმატებით.
3.2.5. საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ევროპის მეტროლოგიის რეგიონალურ ორგანიზაციაში EURAMET სრული წევრობის სტატუსის მისაღებად აქტივობების გაგრძელება	სააგენტოს შერჩეულ პრიორიტეტულ ლაბორატორიებს გავლილი აქვს ე.წ. peer review EURAMET-ის ექსპერტების მხრიდან	ინფორმაცია EURAMET-ის ვებ გვერდზე	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		საერთაშორისო აღიარების შენარჩუნება/გაფართოების მიზნით 2024 წლის 12-14 მარტს TWINING პროექტის ფარგლებში EURAMET - ის ექსპერტების მიერ ჩატარდა ე.წ გარე შეფასება (peer review) ISO/IEC 17025:2017 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად გაზომვების შემდეგ სფეროებში: სიგრძე, წნევა, დოზიმეტრია. შეფასება განხორციელდა წარმატებით. შესაბამისად სააგენტოს მეტროლოგიის ინტიტუტის აღიარებული ჩანაწერების რაოდენობა შეადგენს 65 CMC ჩანაწერს. 2024 წლის 4-6 ივნისს გაიმართა EURAMET - ის გენერალური ასამბლეა, აღნიშნული ორგანიზაციის წევრთა სრული მხარდაჭერით სააგენტოს მიენიჭა სრულუფლებიანი წევრის სტატუსი. გენერალურ ასამბლეაზე სააგენტოს წარმომადგენელმა გააკეთა მოხსენება სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ. სააგნეტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების წარმომადგენლები აქტიურად ერთვებიან და მონაწილეობას ღებულობენ EURAMET-ის ტექნიკური კომიტეტების საქმიანობაში. მიმდინარე წლის მარტში ელექტრობის ეტალონური განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო EURAMET – ის მიერ ორგანიზებულ ონლაინ ტრენინგში გაზომვების განუსაზღვრელობა: საუკეთესო გამოცდილება ტრენინგში და ახალი საშუალებები - ციფრული, პროგრამული, მათემატიკური, სამომავლო განვითარებისთვის იდეები და სიახლეები. სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ხარისხის მენეჯერმა მონაწილეობა მიიღო EURAMET - ის ხარისხის კომიტეტის სამუშაო შეხვედრაში (ქ.დელფი, ნიდერლანდები). ტენიანობისა და ტემპერატურის ეტალონური განყოფილების წარმომადგენლებმა 16-18 აპრილს მონაწილეობა მიიღეს EURAMET - ის ტექნიკური კომიტეტის (TC-T) სამუშაო შეხვედრაში, პოლონეთში, ქ. ვროცლავში. მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების განყოფილების წარმომადგენლებმა 22.04 – 25.04 მონაწილეობა მიიღეს EURAMET - ის ტექნიკური კომიტეტის სხოდმაში (TC-Flow - ტექნიკური კომიტეტის ნაკადი), რომელიც გაიმართა ფინეთში.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					ელექტრობის ეტალონური განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო EURAMET TCEM SC Power and energy - „ელექტრობა და მაგნეტიზმის“ ტექნიკური კომიტეტის სიმძლავრე და ენერგიის ქვეკომიტეტის სხდომაში, რომელიც ჩატარდა 2024 წლის 13 - 15 მაისს ქ. დელფტში. რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიტკის განყოფილების წარმომადგენელმა ონლაინ რეჟიმში მონაწილეობა მიიღო EURAMET - ის ფარგლებში გამართულ აკუსტიკის ტექნიკური კომიტეტის სამუშაო შეხვედრაში. 28 მაისს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევრამეტის ფარგლებში გამართულ ონლაინ სემინარში - NORDTEST Approach for the Evaluation of the Measurement Uncertainty -Using of Mukit Software. 2024 წლის 6 ივნისს რადიაციული მეტროლოგიის ეტალონური განყოფილების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს EURAMET და EMN სემინარში სუფთა ენერგიისთვის - სემინარი „მეტროლოგია ენერგეტიკის რეგულირებისთვის “ . 2024 წლის 7-11 ოქტომებერს მეტროლოგიის ინსტუტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ტექნიკური კომიტეტის სამუშაო შეხვედრაში TC –M EURAMET - მასა და მასთან დაკავშირებული სიდიდები , წნევის სფერო . 2024 წლის 27 ოქტომბერს მეტროლოგიის ინსტუტის წარმომადგენლება მონაწილეობა მიიღეს EURAMET ის ახალი შესაძლებლობების განვითარების კოორდინაციის პროექტში, რომელიც გაიმართა ონალინს 2024 წლის 23-24 ოქტომბერს ელექტრული ეტელონური განყოფილების წარმომადგენელმა მომაწილეობა მიიღო EURAMET ტექნიკური კომიტეტის სამუშაო შეხვედრაში რომელიც გაიმართა ქ. პარიზში. 2024 წლის 5 ნოემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომდაგნელბამ მონაწილეობა მიიღეს MID და NAWI დირექტივებთან დაკავშირებულ ონლაინ სემინარში, 2024 წლის 20-23 ნოემბერს მასისა და მასასთან დაკავშირებული და ფიქ-ქიმიური ლაბორატორიის წარმომადგენლებამ მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში დიდი მოცულობის საზომების დაკალიბრება, რომელიც გაიმართა პორტუგალიის მეტროლოგიის ინსტიტუტში.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
3.2.6. საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს არსებული სტატუსის გაუმჯობესება/ამაღლება სტანდარტიზაციის ევროპულ ორგანიზაციებში CEN/CENELEC და შესაბამისი აქტივობების გახორციელება	საქართველოს სტანდარტებად მიღებული ევროპული სტანდარტების ჰარმონიზაციის მაჩვენებლის გაზრდა არანაკლებ 70%-მდე	CEN/CENELEC-ის ანგარიში	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		2024 წლის მდგომარეობით, საქართველოს სტანდარტების ევროპულ სტანდარტებთან (EN) ჰარმონიზაციის მაჩვენებელი შეადგენს 87, 31%. აღნიშნული მაჩვენებელი სტანდარტების ევროპული ორგანიზაციების მიხედვით განაწილებულია შემდეგი სახით: CEN - 85, 67%, CENELEC – 92,68%.
3.2.7. აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების ნოტიფიცირების სისტემის დანერგვა	აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოებისთვის მომზადებული/ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა	აკრედიტაციის ცენტრის წლიური ანგარიში; www.gac.gov.ge	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სამინისტრო	აკრედიტაციის ცენტრში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა აკრედიტებული ორგანოების ნოტიფიცირების პროცესის და ევროკავშირში ამ მხრივ არსებული სისტემის შესახებ. საინფორმაციო შეხვედრის ფარგლებში მოწვეულმა ექსპერტებმა ისაუბრეს აკრედიტაციის მნიშვნელობის შესახებ ნოტიფიცირების პროცესში. სამუშაო შეხვედრას აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებიდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, სსიპ ბაზრის ზედამხედველობის სააგენტოს წარმომადგენლები.
3.2.8. საქართველოში აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ გაცემულ დოკუმენტებზე საერთაშორისო და ევროპული აღიარების დამადასტურებელი კომბინირებული სიმბოლოს განთავსება	აკრედიტირებული ორგანიზაციის მიერ გაცემულ დოკუმენტებზე ან სერტიფიკატებზე განთავსებული კომბინირებული სიმბოლო	აკრედიტაციის ცენტრის წლიური ანგარიში; www.gac.gov.ge	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი		აკრედიტაციის საერთაშორისო ორგანიზაციებში (ILAC; IAF) მოპოვებული სრული წევრობის სტატუსის შესაბამისად, შემუშავდა აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკის დოკუმენტი აკრედიტაციის ცენტრის ლოგოს, კომბინირებული ლოგოს, აკრედიტაციის სიმბოლოს, აკრედიტაციის კომბინირებული სიმბოლოს გამოყენებისა და აკრედიტაციის სტატუსზე წერილობითი მითითების თაობაზე (PL09). აკრედიტებული ორგანიზაციების მიერ კომბინირებული სიმბოლოს გამოყენების შესახებ შემუშავებული წესის გათვალისწინებით ცვლილებები შევიდა და განახლდა აკრედიტაციის ცენტრის წესები და პროცედურები საკ 1.1.9:2020 და საკ 1.1.:2020. აღნიშნული ცვლილებების გაცნობის მიზნით, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები აკრედიტებული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, აკრედიტებული შშო-ები აკრედიტაციის ცენტრთან შეთანხმებით ახორციელებენ ცვლილებებს ხარისხის დოკუმენტაციაში, რის შემდეგაც ისინი შეძლებენ კომბინირებული სიმბოლოს დატანას მათ დოკუმენტებზე. 2024 წლის პირველი 2 კვარტლის მონაცემებით, თანხმობა გაცემულია აკრედიტებული ორგანოების 90%-ზე მეტ შშო-ზე.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					2024 წლის IV კვარტილის მონაცემებით კომბინირებული სიმბოლოს გამოყენებაზე თანხმობა მიიღო აკრედიტებული ორგანოების 98 %.
ამოცანა 3.3.	დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ეკონომიკური ოპერატორების მომზადებისა და ადაპტაციის ხელშეწყობა დაახლოებული კანონმდებლობის იმპლემენტაციისთვის				
3.3.1. დაინტერესებული მხარეებისათვის, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის შეხვედრების/სემინარებ ი ს ორგანიზება	ჩატარებული შეხვედრების/ სემინარების რაოდენობა	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი; სსიპ ბაზარზე ზედამხედველობი ს სააგენტო	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	• 2024 წლის 2 თებერვალს PTB-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „ხარისხის სტანდარტები გაზრდილი ვაჭრობისათვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ ფარგლებში სააგენტოში ჩატარდა სემინარი: დაინტერესებული მხარეების მოთხოვნის დადგენა მეტროლოგიის სფეროში საქართველოში და ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების გზები. აღნიშნული შეხვედრა ჩაატარა PTB-ის ექსპერტმა, მონაწილეობას ღებულობდნენ სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიების წარმომადგენლები და ასევე სხვადასხვა აკრედიტირებული პირები. • 19-23 თებერვალს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის Twinning პროექტის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგი „ევროპული დირექტივის 2014/32/EU გამზომი საშუალებების შესახებ“ განხილული იყო გამონაბოლქვი არის ანალიზატორების საკითხი და OIML რეკომენდაცია R99:2008 მანქანების გამონაბოლქვის გაზომვის რეკომენდაციები. • სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ 2024 წლის 28 თებერვალს, „ტვინინგ პროექტის“ ექსპერტთან ერთად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა „ხარისხის ინფრასტრუქტურა, როგორც საუკეთესო საშუალება საჯარო შესყიდვებში ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“, შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო შესყიდვებში ჩართული ორგანიზაციების 30 მდე წარმომადგენლმა. • სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობას მიიღო 7 მარტს გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (PTB) მიერ სასტუმრო „ჯინჯერში“ ჩატარებულ „ხარისხის ინფრასტრუქტურის მომსახურების გაძლიერება დამატებული ღირებულების, პროდუქტიულობისა და ინოვაციისთვის“ კონფერენციაში. • 25, 30 იანვარს და 6 ივნისს, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					დეპარტამენტის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამშენებლო დეპარტამენტთან კოორდინაციით შედგა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 5) სამუშაო ჯგუფის „ევროკოდები“ წევრების შეხვედრა ევროკომისიის ერთობლივი კვლევების ცენტრი (JRC) მიერ მოწვეულ ექპერტებთან, შეხვედრის ფარგლებში განხილული იყო სეისმური და კლიმატური რუკების შემუშავების პროცედურები. აღნიშნული პროცესის შემდგომი ხელშეწყობისათვის დაიგეგმა JRC-ის ექპერტების ჩართულობის კონფერენციის ან/და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება თბილისში. • 29 მარტს სააგენტოში განხროციელდა ცნობიერების ამაღლების შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან ევროპულ დირექტივასთან (NAWI) არაავტომატური აწონის საშუალებების შესახებ. • 2024 წლის 26-28 აპრილს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს უძრავი ქონების კვირეულის ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაში “სამშენებლო მასალების ხარისხის ინფრასტრუქტურა”. აღნიშნული გამოფენის ფარგლებში ასევე, წარმოდგენილი იყოს სააგენტოს მეტროლოგიური ინსტიტუტის ცალკეული ხელსაწყოები და სტანდარტების დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ საინფორმაციო მასალა, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ქონდათ მიეღოთ სააგენტოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია უშუალოდ სააგენტოს წარმომადგენლებისაგან. • 2024 წლის 20 ივნისს, განხორციელდა ევროკავშირის დაფინანსებული ტვინინგ პროექტის, - “საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების გაძლიერება საერთაშორისო/ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად” დასკვნითი ღონისძიება, რომელიც პროექტის ექსპერტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საჯარო და კერძო სტრუქტურის წარმომადგენლება. ღონისძიების ფარგლებში დამსწრეებს მიეწოდანთ ინფორმაცია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი და მიღეწული შედეგების. ასევე. სამომავლო გეგმების შესახებ. • 16-აგვისტოს სააგენტოში და 17 ოქტომბერს ქ. ფოთში განხროციელდა ცნობიერების ამაღლების შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან ევროპულ დირექტივებთან (MID) გამზომი საშუალებების და NAWI არაავტომატური აწონის საშუალებების შესახებ. • ექსპო ჯორჯიაში გამართული უძრავი ქონების კვირეულის ფარგლებში, აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილემ გიორგი ჩიტაძემ მონაწილეობა მიიღო პანელურ დისკუსიაში თემაზე: „ხარისხის ინფრასტრუქტურა სამშენებლო მასალებისთვის“ სადაც დაინტერესებულ პირებს

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია ხარისხის ინფრასტრუქტურისა და მისი მარეგულირებელი მექანიზმების შესახებ. • 2024 წლის 27 ივნისს, ქალაქ თბილისში, გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (PTB) ორგანიზებითა და სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მონაწილეობით გაიმართა საინფორმაციო სემინარი ლაბორატორიებისთვის, რომელსაც ესწრებოდნენ გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (PTB), საქართველოს ლაბორატორიების ასოციაციისა (GeLab) ,და ქართული სამშენებლო მასალების კლასტერისა (GCMC) და საქართველოში მოქმედი ლაბორატორიების წარმომადგენლები. • შეიქმნა „გარემო დაცვის“ სფეროში სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტი • სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით სტანდარტიზაციის ეროვნული ტექნიკური კომიტეტის „ტერმინოლოგიის“ წევრები მონაწილეობენ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ისო) კომიტეტის „ISO/TC 46 - Information and documentation“ საქმიანობაში “P-წევრის“ სტატუსით. • სააგენტოს წარდგინებით სტანდარტიზაციის შესაბამისი ეროვნული კომიტეტის წევრები ჩაერთვნენ სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის CEN/TC 275 “Food analysis - Horizontal methods“ საქმიანობაში, “O-წევრის“ სტატუსით. • სსიპ საქარველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში 2024 წლის 15 ნოემბერს PTB და BMZ მიერ დაფინანსებული პროექტის ხარისხის ინფრასტრუქტურის მომსახურების გაძლიერება დამატებული ღირებულების, პროდუქტიულობისა და ინოვაციისთვის“ ფარგლებში ჩატარდა სემინარი თემაზე ,,დაკალიბრების საერთაშორისო სახელმძღვანელო მითითებები“. • აკრედიტაციის ცენტრში გაიმართა აკრედიტაციის ეროვნული საბჭოს მორიგი სხდომა. შეხვედრის ფარგლებში საბჭოს წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია ორგანიზაციაში განხორციელებული ცვლილებების და სამომავლო გეგმების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, ბიზნეს ასოციაციების და შესაბამისობის შემფასებელი ორგანიზაციების ასოციაციების წარმომადგენლები. • 2024 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით და გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) დახმარებით გაიმართა UNIDO-GQSP-ის პროექტის საკოორდინაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე - გიორგი ჩიტაძემ მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია აკრედიტაციის როლზე და სამომავლო განვითარების გზებზე.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
3.3.2. აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოებისთვის ტრენინგების ორგანიზება მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სტანდარტების სფეროში	ორგანიზებული ტრენინგების რაოდენობა	აკრედიტაციის ცენტრის წლიური ანგარიში; www.gac.gov.ge	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2024 წლის მანძილზე აკრედიტაციის ცენტრის მიერ განხორციელდა 10 ტრენინგი დაინტერესებული მხარეებისთვის, კერძოდ: 1) სსტ ისო/იეკ 17065 : 2012/2014 - შესაბამისობის შეფასება- მოთხოვნები პროდუქტების, პროცესებისა და მომსახურების ატესტაციის ორგანოებისათვის - 1 სესია; 2) სსტ ისო/იეკ 17024 : 2012/2012 - შესაბამისობის შეფასება - ზოგადი მოთხოვნები პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების მიმართ - 1 სესია; 3) ისო/იეკ 17025:2017/2018 - ზოგადი მოთხოვნები საგამოცდო და საკალიბრო ლაბორატორიების კომპეტენტურობის მიმართ - 4 სესია; 4) სსტ ისო 15189:2012/2015 - სამედიცინო ლაბორატორიები - მოთხოვნები ხარისხსა და კომპეტენციას მიმართ - 1 სესია და 5) სსტ ისო/იეკ 17020 : 2012/2012 - შესაბამისობის შეფასება - მოთხოვნები ინსპექტირების სხვადასხვა ტიპის ორგანოების საქმიანობისათვის - 3 სესია. აღნიშნულ ტრენინგებს ჯამში დაესწრო 135 მონაწილე, აკრედიტებული ორგანიზაციებიდან.
3.3.3. აკრედიტაციის წესების, პროცედურებისა და აკრედიტაციის სისტემის შესახებ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება	ორგანიზებული ტრენინგების რაოდენობა და ტრენინგებზე დამსწრე აღმასრულებელ საკანონმდებლო და სასამართლო წარმომადგენლების რაოდენობა	აკრედიტაციის ცენტრის წლიური ანგარიში; www.gac.gov.ge	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მიმიდინარეობს მოლოაპარაკებები დონორებთან, რის შემდეგაც დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები.
3.3.4. შეხვედრა ეკონომიკურ ოპერატორებთან რადიო მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გაცნობის მიზნით	ჩატარებული შეხვედრების/ სემინარების რაოდენობა	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობი ს სააგენტო		ჩატარდა ორი საინფორმაციო შეხვედრა შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორებთან რადიომოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გაცნობის მიზნით, რომელსაც დაესწრო 32 ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენელი.
3.3.5. შეხვედრა ეკონომიკურ ოპერატორებთან ენერგო ეტიკეტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების გაცნობის მიზნით	ჩატარებული შეხვედრების/ სემინარების რაოდენობა	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობი ს სააგენტო		საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტები დამტკიცდა 2024 წლის ოქტომბრის თვეში. შესაბამისად, შეხვედრები ჩატარდება 2025 წლის განმავლობაში.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
3.3.6. შეხვედრა ეკონომიკურ ოპერატორებთან სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გაცნობის მიზნით	ჩატარებული შეხვედრების/ სემინარების რაოდენობა	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობი ს სააგენტო		ჩატარდა 6 საინფორმაციო შეხვედრა 101 ახალი სამშენებლო პროდუქტის შესახებ შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორებთან - მწარმოებლებთან, იმპორტიორებთან და რეალიზატორებთან, რომლებსაც დაესწრო 130-მდე ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენელი.
ამოცანა 3.4.	შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება				
3.4.1. სტანდარტიზაციასა და მეტროლოგიის სფეროში თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის აღნიშნული სფეროების ცნობადობის გაზრდა	ჩატარებული სემინარების/ ტრეინინგების რაოდენობა	სააგენტოს წლიური ანგარიში; www.geostm.ge	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		25.08 – 05.09 მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო IMEKO კონფერენციაზე და PTB-ში CABUREK პროექტის სამუშაო შეხვედრაში, 2024 წლის განმავლობაში „ტვინინგ პროექტის ფარგლებში“ სტანდარტების დეპარტამენტისა და მეტროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა შემდეგი ტრეინინგები/ სემინარები: სტანდარტები: • 17 თებერვალი, 5-6 მარტი, ხარისხის მენეჯმენტის დოკუმენტების შემუშავება და დანერგვა (ენ ისო 9001:2015); • 27-28 თებერვალი, ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზის ზოგადი პრინციპები და მეთოდები; • 25-27 მარტი, ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტი (ენ ისო 9001:2015). • 4 და 13 ივნისს, სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს PTB-ის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში „Eastern Partnership Standardisation Forum onTranslation of Standards in the adoption process“; Workshop Professional development opportunity: Writing and using Policy Briefs“. • 8-12 ივლისს, განხორციელდა სააგენტოს წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი იტალისს სტანდარტების ეროვნულ ორგანოში (UNI); • 18 ივლისს, სტანდარტების დეპარამენტის წარმომადგენელა მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში „უნარების განვითარება მძიმე მრეწველობაში “, რომელიც განხორციელდა (USID)- ის პროგრამის „ დამსაქმებლები პროფესიული განვითარებისათვის “ევროპული ბიზნეს ასოციაციის და შპს „ ბაზალტ ფაიბერს“-ის ერთობლივი საგრანტო პროექტის ფარგლებში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“. • 23-25 სექტემბერს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს PTB-ის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში: „მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურებები - ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროში“ (23 სექტემბერი, 2024);

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					„სტანდარტიზაციის ფორუმი“(24 სექტებერი), მეტროლოგიის ფორუმი (25 სექტემბერი) ღონისძეიბაში საქართველოს გარდა მონაწილეობდა შესაბამისი სფეროს წარმომადგენლები აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებიდან. მეტროლოგია: • 29 იანვარს საქართველოს ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრში ჩატარდა ტრენინგი სტანდარტის ISO/IEC 17025:2017 ზოგადი მოთხოვნები საგამოცდო და საკალიბრო ლაბორატორიების კომპეტენტურობისადმი, მონაწილეობას ღებულობდა მეტროლოგიის ინსტიტუტის ელექტრობის ეტალონური ლაბორატორიის წარმომადგენელი. • 22-26 იანვარს გერმანული მხარის PTB - მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის, ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური ლაბორატორიის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ თეორიული და პრაქტიკული სწავლება SPRT ის დაკალიბრების შესახებ (ვერცხლისწყლიდან-გალიუმის რეპერულ წერტილის ქვედიაპაზონში). • 05-09 თებერვალს ტრენინგი მცირე მოცულობაში. აღნიშნული ტრენინგი მხარდაჭერილი იყო გერმანული მხარის PTB- ის მიერ. ტრენინგში სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად მონაწილოება მიიღეს აზერბაიჯანის, მოლდოვას, სომხეთის, ყირგიზეთის მეტროლოგიის ინსტიტუტების წარმომადგენლებმა. • 27-29 თებერვალი მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კალიბრაციის ციფრული სერთიფიკატების (DCC) მიღება და შემდგომი განვითარება სამუშაო შეხვედრაში. • 19-21 მარტი მეტროლოგიის ინსტიტუტის რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის ეტალონური ლაბორატორიის წარმომადგენლებისთვის Twinning პროექტის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგი ხმაურმზომების დაკალიბრებასთან დაკავშირებულ საკითხებთან ISO 61672-3-ის და ISO 61672-1-ის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. განხილულ იქნა შესაძლებლობები საერთაშორისო შედარებაში მონაწილეობის მიზნით.25-28 მარტი სააგენტოს წნევის ლაბორატორიის წარმომადგენლებისათვის Twinning პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი განახლებული კალიბრაციის პროცედურის შემუშავება წნევის ბალანსისათვის. • 2024 წლის 5-11 მაისს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებისთვის ტვინინგის პროექტის ფარგლებში შედგა სასწავლო ვიზიტი იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტის ელექტრული გაზომვების ლაბორატორიებში • 2024 წლის 20-23 მაისს ტვინინგის პროექტის ფარგლებში მექანიკის ეტალონურ განყოფილების ვიბრაციული გაზომვების ლაბორატორიაში განხორცილედა იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (INRIM) ექსპერტის ვიზიტი ლაბორატორიის

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					საერთაშორისოდ აღიარების შესაძლებლობების შეფასები მიზნით, ასევე მან ჩაატარა ტრენინგ-სემინარი განყოფილების თანამშრომლებისთვის ვიბრაციის ლაბორატორიის მუშაობის ძირითად საკითხებზე. • PTB-ის პროექტის „ხარისხის სტანდარტები გაზრდილი ვაჭრობისათვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ ფარგლებში 2024 წლის 3-7ივნისს და 24 ივნისს ჩატარდა ონლაინ შეხვედრები სიმძლავრისა და ენერგიის სახელმწიფო ეროვნული ეტალონის განვითარების, გაზომვების ავტომატიზაციის და საერთაშორისო შედარებების ჩატარების თაობაზე ელექტრული გაზომვების ეტალონური განყოფილების BIPM KCDB მონაცემთა ბაზაში CMC-ის ახალი ხაზების დამატების მიზნით - მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა. • 2024 წლის 7 ივლისს რადიაციის ეტალონური განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ონლაინ ვებინარში - BIPM-CCRI WEBINAR ‘’Metrology in support of the comprehensive Nuclear Test -Ban Treaty. • 23 ივლისს PTB ექსპერტის მიერ ჩატარდა ტრენინგი მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებისათვის „განუსაზღვრელობა, განაცხადი შესაბამისობაზე“ • 2024 წლის 14 აგვისტოს რადიაციის ეტალონურ განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო NCSLI -ინსტრუმენტები და მიღწევები ზედაპირული გაზომვისას -Building a Quality Culture in Your Calibration Lab/Lab Manager Statistics- ონლაინ ვებინარში. • 2024 წლის 28 აგვისტოს რადიაციის ეტალონურ განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო National Conference of Standards Laboratories" -ონლაინ ვებინარში. • 9 სექტემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებისათვის PTB - ის ექსპერტები მიერ ჩატარდა სწავლება გადაწყვეტილების მიღების წესები და შესაბამისობის განცხადებები • 26 სექტემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებისთვის PTB – ეხსპერტების მიერ ჩატარდა ტრენინგი ,, შიდა აუდიტის იმპლემენტაცია“. • 23-27 სექტემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელი სასწავლო ვიზით იმყოფებოდა საბარძნეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში - თემა SPRT-ის დაკალიბრება

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					ფიქსირებულ წერტილებში წყლის სამმაგი წერტილიდან თუთიის ფიქსირებულ წერტილამდე დიაპაზონისთვის. • 28 ოქტომებრს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ონლაინ სამინარში „First CABUREK Talk "CIPM Forum on Metrology and Digitalization" • 5 ნოემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილოება მიიღო EUROLAB-ის მიერ ორგანიზბულ ვებინარში თემაზე "Guidelines for the Management of Digitalised Systems in Laboratories Accredited to ISO/IEC 17025" • 25 ნოემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ონლაინ სამინარში „Second CABUREK Talk "Steps Towards the Digital Workflow at PTB – Insights into our Experiences" • 12 დეკემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღ ვებინარშ ,,AS X7 ანალიტიკური და PS X7 ზუსტი ნაშთების შესახებ - webinar on the AS X7 analytical and PS X7 precision balances" • 12 დეკემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილოება მიიღო CCRI ვებინარში ბირთვული მონაცემების შეფასება რადიონუკლიდების მეტროლოგიისთვის
3.4.2. სააგენტოს თანამშრომლების ცოდნის ამაღლება ევროკავშირის რელევანტურ რეგულაციებსა და დირექტივებში, ასევე ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის კუთხით	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; გადამზადებული ინსპექტორების რაოდენობა; განხორციელებული სასწავლო ვიზიტებისა და პილოტური სწავლებების რაოდენობა	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობი ს სააგენტო		სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დამმობილების პროექტის (საქართველოს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება) მხარდაჭერით ორგანიზებულ ტრენინგებში (ჯამში 8 ტრენინგი): • საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გაზიარების მიზნით საზედამხედველო ღონისძიებების დაგეგმვისა და რისკის ანალიზის თაობაზე; • რადიო მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის შესახებ; • ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2019/1020 რეგულაციის თაობაზე; • ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2023/988 რეგულაციის შესახებ; • ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესახებ ტექნიკურ რეგლამენტის თაობაზე; • საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გაზიარების მიზნით არალაბორატორიული ტექნიკური შემოწმების თაობაზე; • ბაზარზე ზედამხედველობის IT ზედამხედველობის შესახებ.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					• ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2006/42 დირექტივის თაობაზე;
3.4.3. აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	აკრედიტაციის თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	აკრედიტაციის ცენტრის წლიური ანგარიში; www.gac.gov.ge	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი		მიმდინარე წელს აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობდნენ შემდეგ ტრენინგებში და სამუშაო შეხვედრებში: • ევროპული აკრედიტაციის თანამშრომლობის (EA) მიერ ორგანიზებული ტრენინგი განახლებული სტანდარტის შესახებ- ისო/იეკ 17043:2023-შესაბამისობის შეფასება - ზოგადი მოთხოვნები საკვალიფიკაციო ტესტირების მომწოდებელი ორგანიზაციების კომპეტენციის მიმართ. აღნიშნული ტრენინგი წარმოადგენს ტრენერთა ტრენინგს, რომელიც მიზანად ისახავს გადამზადებული პერსონალის მიერ ტრენინგების ჩატარებას პერსონალისთვის; • ევროპული ლაბორატორიული ასოციაციის (Eurachem) მიერ ორგანიზებული ტრენინგი საგამოცდო და სამედიცინო სფეროში განუსაზღვრელობის განსაზღვრის და მეტროლოგიური მიკვლევადობის შესახებ; • გერმანიის მეტროლოგიის სააგენტოს (PTB) მიერ ორგანიზებული ტრენინგი ისო 15189:2022 სამედიცინო ლაბორატორიები - მოთხოვნები ხარისხსა და კომპეტენციასთან დაკავშირებით; • გერმანიის მეტროლოგიის სააგენტოს (PTB) მიერ ორგანიზებული ტრენინგი ორგანული პროდუქციის წარმოების წესები და მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ. • PTB-ის პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: ორგანული პროდუქციის სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციის და მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ; • საფრანგეთის აკრედიტაციის ორგანოს წარმომადგენელმა ჩაატარა ტრენინგი ისო15189:2022 სტანდარტში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. • გერმანიის მეტროლოგიის სააგენტოს (PTB) მიერ ორგანიზებული საინფორმაციო შეხვედრა აკრედიტაციის მოქნილი სფეროს გამოყენების შესახებ. • 2024 წლის 14 ნოემბერს, სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ყოველწლიური გამოცდილების გაზიარების შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ აკრედიტაციის ცენტრის შეფასების ჯგუფის უფროსები, ტექნიკური შემფასებლები და აკრედიტაციის ცენტრის მენეჯმენტის წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა 2023-2024 წლის განმავლობაში შემფასებელთა საქმიანობის განხორციელებისას წარმოქმილი გამოწვევების , პრობლემებისა და სირთულეების თაობაზე ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება შეფასების პროცესის დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის, აკრედიტაციის სფეროში არსებული სიახლეების გაცნობა და სამომავლო მიზნების დასახვა. • სემინარი გეოგრაფიული აღნიშვნების და ადგილწარმოების

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					პროცესში აკრედიტებული ორგანიზაციების როლის შესახებ. აღნიშნული სამუშაო შეხვედრა მიზნად ისახავდა აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, იმის შესახებ თუ როგორ მუშაობს შვეიცარიაში გეოგრაფიული აღნიშვნებით და ადგილწარმოშობის ქვეშ დაცული პროდუქტის სერტიფიცირების სისტემა, აკრედიტებული სერტიფკაციის ორგანოების ჩართულობით. მსგავსი სახით პროდუქტების სერტიფიცირება უნდა განხორციელდეს საქართველოშიც, როგორც ამას განსაზღვრავს გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ ახალი კანონი. ევროპული აკრედიტაციის თანამშრომლობის (EA) კომიტეტები და სამუშაო შხვედრები: - ჰორიზონტალური ჰარმონიზაციის კომიტეტი (HHC) - ლაბორატორიული კომიტეტი (LC) - სერტიფიკაციის კომიტეტი(CC) - ინსპექტირების კომიტეტი (IC)
ამოცანა 3.5.	DCFTA-ის ვალდებულებების შესაბამისად ბაზარზე ზედამხედველობის აღსრულება				
3.5.1 ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ დაახლოებულ სფეროებში ინსპექტირების განხორცირლება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა	განხორციელებული შემოწმებების (დოკუმენტური და ტექნიკური) რაოდენობა	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობი ს სააგენტო		ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ, რისკის ანალიზის საფუძველზე, 2024 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ზედამხედველობის პროცედურები: • ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 381 სამშენებლო პროდუქტი; • ადგილობრივ ბაზარზე რეკომენდაცია გაიცა 226 სამშენებლო პროდუქტზე; • ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 17 ლაქ-საღებავი; • ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 219 სათამაშო; • ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 66 აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობა; • ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 23 ინდივიდუალური დაცვის საშუალება; • ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 62 ელექტრო მოწყობილობა და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები; • ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 30 რადიო მოწყობილობა და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები;განხორციელდა შემზღუდველი ღონისძიებების გატარების შესახებ გამოცემული 73 დადგენილების გადამოწმება. • აღებულ იქნა 60 სამშენებლო პროდუქტის ნიმუში და გადაგზავნილ იქნა შესაბამის აკრედიტებულ ლაბორატორიაში. • აღებულ იქნა 153 სათამაშოს ნიმუში და 7 ინდივიდუალური დაცვის საშუალების ნიმუში და გადაგზავნილ იქნა შესაბამის აკრედიტებულ ლაბორატორიაში; 2024 წლის განმავლობაში შემოწმდა შემოსავლების სამსახურის საბაჟოს 7 გაფორმების ეკონომიკური ზონიდან შემოსული:

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					• 10727 სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება; • 4412 მანქანა-დანადგარის იმპორტის წინასწარი შეტყობინება; • 3546 სათამაშოს იმპორტის წინასწარი შეტყობინება; • 1306 ინდივიდუალური დაცვის საშუალების იმპორტის წინასწარი შეტყობინება; • 2923 აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობის იმპორტის წინასწარი შეტყობინება.
მიზანი 4.	სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ზომებს დაქვემდებარებული პროდუქციით ვაჭრობის ხელშეწყობა და ადამიანების, ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაცვა				
ამოცანა 4.1.	სანიტარული და ფიტოსანიტარული, ცხოველთა კეთილდღეობისა და სხვა საკანონმდებლო ღონისძიებების გაუმჯობესება				
4.1.1. საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის ნორმატიულ აქტებთან ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართის შესაბამისად	ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართში მითითებულ ევროკავშირის 15 საკანონმდებლო აქტთან დაახლოებული საქართველოს კანონმდებლობა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო	დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის შემდეგი დადგენილებები: • საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 ივნისის N196 დადგენილება „ღივების (აღმონაცენის) მწარმოებელი ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ • „ტექნიკური რეგლამენტის – გამონაკლისი წესები თხევადი ზეთებისა და ცხიმების საზღვაო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთვარობის 2024 წლის 3 ივლისის N216 დადგენილება • „სურსათზე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დასაშვები განაცხადის ჩამონათვალის, გარდა განაცხადისა, რომელიც ეხება დაავადების რისკის შემცირებასა და ბავშვთა განვითარებასა და ჯანმრთელობას“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 11 ივლისი №227 დადგენილება • „სურსათში კოკციდიოსტატების ან ჰისტომონოსტატების შემცველობის მაქსიმალური დონის, გამოწვეული ცხოველის საკვებში მათი არამიზნობრივი, გარდაუვალი გადატანის შედეგად“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 10 ივლისის №223 დადგენილება • „ტექნიკური რეგლამენტის – მასალები და ნაკეთობები რეგენერირებული ცელულოზის ფირისაგან, რომლებიც განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 3 აპრილის N124 დადგენილება • „ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №587 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ “ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 13 ივნისის №191 დადგენილება „მოთხოვნები ღივების წარმოებისთვის განკუთვნილი ღივებისა და თესლების მიკვლევადობის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 13 ივნისის დადგენილება №190მომზადებულია საქართველოს მთავრობის შემდეგი დადგენილებები:

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					• „ვეტერინარული პრეპარატების წესის დამტკიცების შესახებ“ • „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესები“ • "სპეციალური წესები კომპეტენტური ორგანოების მიერ ცხოველებზე, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე და გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალაზე განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის შესახებ, კომპეტენტური ორგანოს მიერ განხორციელებული შემდგომი ღონისძიებები მსხვილფეხა საქონლის, ცხვრისა და თხის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან მსხვილფეხა საქონლის ქვეყანაში ტრანზიტით გავლისას გამოვლენილ შეუსაბამობაზე"
ამოცანა 4.2.	ბიზნეს წრეებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში, მომხმარებლებისა და უფლებების მფლობელთა ცნობიერების გაზრდა				
4.2.1.ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებული ქართული კანონმდებლობის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობის გაზრდა და მეწარმეთა ხელშეწყობა ახალ მოთხოვნებთან ადაპტაციაში	ჩატარებული ტრენინგების, საინფორმაციო შეხვედრების და სხვა ღონისძიებების რაოდენობა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო	2024 წელს განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები: • 23-25 იანვარს, სეს-ის სათაო ოფისში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა რომელზეც განიხილეს საქართველოს მთავრობის #584 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტის – ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე, დამტკიცების თაობაზე. საერთშორისო ორგანიზაცია Land O'Lakes Venture37 (USDA Food for Progress SQIL) დახმარებით, შემუშავდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ტუბერკულოზის კონტროლისა და ერადიკაცის მრავალწლიანი სტრატეგიის პროექტი. შეხვედრას ესწრებოდა ცხოველთა ინფექციური დაავადებების ზედამხედველობის სამმართველოს 8 სპეციალისტი. • თებერვალში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები ბიზნეს-ოპერატორებთან (მეფრინველეობის ასოციაციის წარმომადგენლებთან) საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის №172 დადგენილებით დამტკიცებული „სალმონელასა და სხვა ზოონოზური აგენტების კონტროლის წესი“-ს თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული, სალმონელოზის სახელმწიფო კონტროლის პროგრამის შემუშავების საკითხებში, შეხვედრას დაესწრო 5 ბიზნეს-ოპერატორი. • თებერვალ-მარტში - საინფორმაციო შეხვედრები ბიზნეს-ოპერატორებთან, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილება "სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე". აღნიშნული შეხვედრები ჩატარდა; ქუთაისიში (დაესწრო 7 ბიზნეს-ოპერატორი), თბილისში (დაესწრო 18 ბიზნეს-ოპერატორი). • 29 მარტი - გაიმართა შეხვედრა თხილის მწარმოებელ 25 ბიზნეს-ოპერატორთან ევროკავშირის აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. • თებერვალ-მარტში - გაიმართა სამი შეხვედრა ფრინველთა სასაკლაოების 27 ბიზნეს-ოპერატორებთან და ფრინველთა

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					სასაკლოების ვეტერინარებთან, მიკრბიოლოგიური მაჩვენებლის - კამპილობაქტერის, კვლევების განხორციელების აუცილებლობის შესახებ. • მაისი-ივნისი, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა, ცნობიერების ამაღლება სურსათის უვნებლობის სფეროში ახლად დამტკიცებული რეგულაციების თაობაზე, ჰორეკა სექტორში ჩართული ბიზნეს-ოპერატორებისთვის: • ბორჯომი - დაესწრო 70 ბიზნეს-ოპერატორი და სააგენტოს 12 უფლებამოსილი პირი • სტეფანწმინდა - დაესწრო 48 ბიზნეს-ოპერატორი და სააგენტოს 13 უფლებამოსილი პირი • თელავი - დაესწრო 82 ბიზნეს-ოპერატორი და სააგენტოს 20 უფლებამოსილი პირი • მაისი-ივნისი, სამუშაო შეხვედრები, საქართველოს მთავრობის №59 დადგენილება - „ტექნიკური რეგლამენტი – ცხოველთა საკვებში არასასურველი ნივთიერებების შემცველობის დამტკიცების შესახებ“ ცხოველის საკვების შენახვისა და ტრანსპორტირების პირობების დაცვა, რათა არ მოხდეს საკვების აფლატოქსინით დაბინძურება. შეხვედრები გაიმართა: • 17-18 მაისი - კახეთი - დაესწრო 30 დაინტერესებული პირი • 24 მაისი - შიდა ქართლის - დაესწრო 27 დაინტერესებული პირი • 25 მაისი - თბილისი - დაესწრო 14 დაინტერესებული პირი • 10 ივნისი - აჭარა - დაესწრო 7 დაინტერესებული პირი • 23 ივნისი - იმერეთი - დაესწრო 31 დაინტერესებული პირი • 4-6 ივნისს, ყვარელში, ENPARD IV -ის ფარგლებში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესები“ დაკავშირებით. სამუშაო შეხვედრის დროს დადგენილების პროექტის მეორე სამუშაო ვერსიაში განხორციელდა ცვლილებები. შეხვედრას დაესწრო სეს-ის და შემოსავლების სამსახურის 20 უფლებამოსილი პირი. • 10 - 12 ივნისი, სეს-ის სათაო ოფისში, ENPARD IV - ის ფარგლებში, დონორსა და სააგენტოს თანამშრომლებს შორის გაიმართა სამუშაო შეხვედრა, შეხვედრაზე განიხილეს ფიტოსანიტარიის შესახებ GCP/GEO/02/EC - კანონდელობის ხარჯების შეფასება. შეხვედრას დაესწრო სეს-ის 6 უფლებამოსილი პირი. • მიმდინარე წლის 12-20 ნოემბერს, საქართველოში, ENPARD IV პროექტის ფარგლებში, ჩეხი ექსპერტების მიერ შიდა ქართლის და ქვემო ქართლის რეგიონებში გაიმართა სამუშაო შეხვედრები პესტიციდებისა და სასოფლო სამეურნეო ტექნიკის იმპორტიორ კომპანიებთან, ასევე იმ ფერმერებთან რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია პესტიციდებისა და შემასხურებელი აგრეგატების გამოყენებასთან.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					• 15-18 აგვისტო სეს-ის მიერ ორგანიზებული იყო სამუშაო შეხვედრა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, მეფუტკრეობის პირველად წარმოებაში დასაქმებულ ფერმერებთან მეფუტკრეობაში გავრცელებული დაავადებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. • 26-28 სექტემბერი სეს-ის მიერ ორგანიზებული იყო სამუშაო შეხვედრა გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში, მეფუტკრეობის პირველად წარმოებაში დასაქმებულ ფერმერებთან სახელმწიფო კონტროლის განხორციელებასათან დაკავშირებულ საკითხებზე და მეფუტკრეობაში გავრცელებული დაავადებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. • 11- 19 დეკემბერს, კახეთის, ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, გურიისა და აჭარის რეგიონებში ჩატარდა შეხვედრები, აკვაკულტურის ბიზნესოპერატორებთან, თემაზე - საქართველოს მთავრობის დადგენილება N 597- „აკვაკულტურისა და მისი პროდუქტების ბაზარზე განთავსებისა და იმპორტის პირობები, სერტიფიცირების მოთხოვნები და ვექტორული სახეობების ჩამონათვალი.“ • 07.2024-11.07.2024 თბილისში ჩატარდა ორი ახლადამოქმედებული დადგენილების მოთხოვნების გაცნობა შესაბამისი ბიზნესოპერატორებისათვის (დაესწრო 44 ბიზნესოპერატორი): • საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის N317 დადგენილება „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ • საქართველოს მთავრობის 2021 წლის 3 ნოემბრის N525 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილ მასალებსა და ნაკეთობებში (საგნებში) ეპოქსიდური ფისების ზოგიერთი წარმოებულის გამოყენების შეზღუდვის შესახებ დამტკიცების თაობაზე“ • 26.08.2024-27.08.2024 ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა სამეგრელოს რეგიონში (დაესწრო 40 ბიზნესოპერატორი) შემდეგ თემებზე: • სურსათის უვნებლობის სისტემა საქართველოში - საქართველოდან ექსპორტისთვის განკუთვნილ თხილში აფლატოქსინით დაბინძურების კონტროლი; • საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის N185 დადგენილებით დამტკიცებული - „თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ს ცვლილებები; • მოთხოვნები აფლატოქსინების პრევენციისა და შემცირებისადმი („თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ს და კაკლოვან კულტურებში აფლატოქსინის პრევენციისა და შემცირების რეკომენდებული საერთაშორისო კოდექსის CAC/RCP 59-2005 მოთხოვნები): - მოთხოვნები პირველადი წარმოებისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების მიმართ; - მოთხოვნები საწარმოში თხილის გადამუშავების პროცესებისადმი; - მოთხოვნები სატრანსპორტო

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					კონტეინერების მიმართ და გადამუშავებული პროდუქტის დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირებისას; - მოთხოვნები პროდუქციის დასაწყობების მიმართ; • კაკლოვნების აფლატოქსინებზე ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და განსახორციელებელი ქმედებები • 30.07.2024-2.08.2024, 2.09.2024-5.09.2024, 11.09.2024-12.09.2024 აჭარის, მცხეთის, შიდა ქართლის, სამეგრელოს და ზემო სვანეთის რეგიონებში ჩატარდა შეხვედრა „ცნობიერების ამაღლება სურსათის უვნებლობის სფეროში ახლადამოქმედებული რეგულაციების თაობაზე“ ჰორეკა სექტორში ჩართული ბიზნესოპერატორებისთვის (დაესწრო 232 ბიზნესოპერატორი). • 10.12.2024-11.12.2024 საქართველოში მოქმედ ყველა სასაკლოს (ცხოველთა/ფრინველთა) წარმომადგენლებთან შედგა საინფორმაციო შეხვედრა "ცხოველთა/ფრინველთა სასაკლაოების ნარჩენების მართვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები“-ს შესრულებასთან დაკავშირებით (დაესწრო 225 ბიზნესოპერატორი). • 26.12.2024 თბილისში ჩატარდა შეხვედრა ბიზნესოპერატორებთან სადაც განიხილეს ჯანმრთელობის განაცხადის გაკეთებასთან დაკავშირებული საკითხები (დაესწრო 8 ბიზნესოპერატორი). • 27.12.2024 თბილისში ჩატარდა შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან „სურსათის საქველმოქმედო საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების თაობაზე“ (დაესწრო 12 ბიზნესოპერატორი).
ამოცანა 4.3.	კომპეტენტური ორგანოს შესაძლებლობებისა და უნარების გაუმჯობესება				
4.3.1 სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალისტების გადამზადება; კონკრეტულ პროცედურულ საკითხზე სახელმძღვანელოს შემუშავება	ჩატარებული ტრენინგების, მასში მონაწილე სპეციალისტების რაოდენობა; მიღებული პროცედურული სახელმძღვანელო	უწყების წლიური ანგარიში www.rs.ge	შემოსავლების სამსახური	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო	• 26 მარტი - ონლაინ შეხვედრა აშშ-ის სურსათის და წამლების ადმინისტრაციის (FDA) წარმომადგენელთან, თემა- PREDICT (პროგნოზირებადი რისკზე დაფუძნებული შეფასება დინამიური იმპორტის შესაბამისობის ტარგეტირებისთვის)-ის შესახებ ინფორმაციის გაცნობა. 40 მონაწილე. მიმდინარეობს სწავლებების დაგეგმვა ‘სურსათის უვნებლობის, სანიტარული და ფიტოსანიტარული სექტორის დახმარება საქართველოში პროგრამა ENPARD IV-ის ფარგლებში“ • 5-7 ივნისს ევროკომისიის ჯანმრთელობის და სურსათის უვნებლობის დირექტორატის (DG SANTE) ინიციატივით და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში ჩატარდა სწავლება ევროკავშირის ვეტერინარული, სურსათის უვნებლობის და ფიტოსანიტარული კონტროლის ელექტრონულ სისტემაში TRACES მუშაობის შესახებ. მონაწილეობდა შემოსავლების სამსახურის 22 წარმომადგენელი.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					• 9-11 ივლისს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოში სურსათის უვნებლობისა და SPS სექტორის მხარდაჭერა ENPARD IV“ ფარგლებში, გაიმართა ვორქშოფი რისკის კომუნიკაციაზე. მონაწილეობდა შემოსავლების სამსახურის 3 წარმომადგენელი. • ივლისსა და სექტემბერში - 01.07 - 05.07 / 09.09 -14.09 ევროკავშირის ორგანიზებით Better Training for Safer Food (BTSF) ფარგლებში, ნიდერლანდების სამეფოსა და საფრანგეთში, 3 თანამშრომელმა გაიარა სწავლება ტრენინგზე: „სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი პესტიციდების შემასხურებელი აგრეგატების დაკალიბრება, ინსპექტირება და სერტიფიცირება 2019/128/EC დირექტივის შესაბამისად“. • 17 - 23 სექტემბერს, ჩეხეთის რესპუბლიკაში, ქ. ბრნოში, პრაღასა და ოლომუსში სწავლება გაიარა სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს 9 სპეციალისტმა და შემოსავლების სამსახურის 2 წარმომადგენელმა, შვედეთის საელჩოს, ჩეხეთის განვითარების სააგენტოსა (CZDA) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UN FAO) მიერ დაფინანსებულ, „საქართველოში სურსათის უვნებლობისა და SPS სექტორის მხარდაჭერა ENPARD IV-ის“ (GCP/GEO/022/EC) პროექტის ფარგლებში, სურსათში/ცხოველთა საკვებში დამაბინძურებელი ნივთიერებებისა და PPPების (პესტიციდების) ნარჩენების კონტროლის/მონიტორინგის/ ტესტირებისათვის ნიმუშების აღების მეთოდების გაცნობასთან დაკავშირებით. • 21 - 26 ივლისს ჩეხეთის რესპუბლიკაში სწავლება გაიარა სურსათის ეროვნული სააგენტოს 7-მა სპეციალისტმა, „მცენარეთა დაცვის საშუალებების პროფესიონალი მომხმარებლების სერტიფიცირება სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი პესტიციდების შემასხურებელი აგრეგატების დაკალიბრება, ინსპექტირება, სერტიფიცირება; ბიზნესოპერატორების კონტროლი პესტიციდების გამოყენებასთან და მცენარეთა საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელებასთან დაკავშირებით“. • შემოსავლების სამსახურისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული უფლებამოსილი პირების სწავლების 2024 წლის გეგმის თანახმად, შემოსავლების სამსახურში ჩატარდა სწავლება - ვეტერინარი და ფიტოსანიტარი სპეციალისტებისათვის საკანონმდებლო და კონტროლის პროცედურების სიახლეების, ელექტრონულ სისტემებში განხორციელებული ცვლილებების გაცნობის, გამოვლენილი პრობლემური საკითხების განხილვისა და დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების პროგრამა“, სწავლება ჩაატარეს შემოსავლების სამსახურის გადამზადებულმა თანამშრომლებად. • 3,4,5,6 დეკემბერი - ბათუმში. მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოს სიპ-ის სასაზღვრო კონტროლის

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					განმახორციელებელი სპეციალისტები - 23 ვეტერინარი და 24 ფიტოსანიტარი; • 10,11,12,13 დეკემბერი - თბილისში. მონაწილეობდა აღმოსავლეთ საქართველოს სიპ-ის სასაზღვრო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალისტები - 47 ვეტერინარი და 40 ფიტოსანიტარი;
4.3.2. შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების თანამშრომლების ტრენინგი კანონმდებლობის შემუშავებასა და განხორციელებაში	ჩატარებული ტრენინგების/სწავლებების და სხვა ღონისძიებების რაოდენობა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია; სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო; სსიპ შემოსავლების სამსახური	სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის თანამშრომლებმა გაიარეს შემდეგი სწავლება: „სსტ ისო 17025:2017/2018 სტანდარტის ინტერპრეტაცია და გათვითცნობიერება,ზოგადი პრინციპების მიმოხილვა;“ ჩატარდა სწავლება ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთლობის სააგენტოს (APHA) მიერ შემდეგ დაავადებებზე: Mycoplasma agalactiae და Mycoplasma capricolum; ჩატარდა სწავლება ყირიმ კონგოს ჰემორაგიულ ცხელებაზე (CCHF) - სადიაგნოსტიკო ნაკრების გამოყენება ELISA მეთოდით, დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენისთვის. სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის თანამშრომლებმა გაიარეს შემდეგი სწავლება: შიდა აუდიტი საგამოცდო ლაბორატორიებისთვის. • 2024 წლის იანვარში, იტალიაში, ჩატარდა BTSF-ის მიერ ორგანიზებული ტრენინგი: “კანონი ცხოველთა ჯანმრთელობის შესახებ - წყლის ცხოველები”, რომელსაც დაესრო სურსათის ეროვნული სააგენტოს 1 თანამშრომელი. • 2024 წლის იანვარში, ესპანეთში, ჩატარდა BTSF - ის მიერ ორგანიზებული პრაქტიკული სწავლება თემაზე: „ცხვრისა და თხის ყვავილი “, რომელსაც დაესწრო სურსათის ეროვნული სააგენტოს 1 თანამშრომელი. • 2024 წლის იანვარში, იტალიაში, ჩატარდა (BTSF) მიერ ორგანიზებული პრაქტიკული სწავლება თემაზე: „მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისათვის საჭირო აღჭურვილობის შემოწმება და დაკალიბრება“, რომელსაც დაესრო სურსათის ეროვნული სააგენტოს 2 თანამშრომელი. • 2024 წლის ივნისში, თურქეთში BTSF მიერ ორგანიზებული ტრენინგი თემაზე: Prevention and control of Antimicrobial Resistance (AMR) in the context of an overall ‘One Health’ approach, რომელსაც დაესწრო სურსათის ეროვნული სააგენტოს 4 თანამშრომელი. • 2024 წლის სექტემბერში ჩეხეთში ჩატარდა ტრენინგი: ვეტერინარული კონტროლის მიმართულებით ხარისხის მართვის სისტემა ჩეხეთის სახელმწიფო ვეტერინარული ადმინისტრაციის მაგალითზე. ტრენინგს ესწრებოდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 4 თანამშრომელი. ტრენინგი ორგანიზებული იყო სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის ENPARD IV -ის

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					პროგრამის მიერ. სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ 2024 წლის პირველ კვარტალში ჩატარდა • 4 შიდა ტრენინგი თემაზე - „სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი - საფრთხის ანალიზის და კრიტიკული საკონტროლო წერტილების აუდიტი (ისტორია, სტანდარტული ოპერაციული პროცედურა, აუდიტის აქტის განხილვა (დაესწრო 47 უფლებამოსილი პირი). • გარე 2 ტრენინგი თემაზე - „საფრთხის ანალიზის და კრიტიკული საკონტროლო წერტილების აუდიტის განხორციელების ტექნიკა ნედლი რძის თერმული გადამამუშავებელი საწარმოებისათვის“ (დაესწრო 25 უფლებამოსილი პირი). • 3 შიდა საინფორმაციო შეხვედრა, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილება "სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" (დაესწრო 33 სასაკლაოზე ხელშეკრულებით აყვანილი ვეტ-ექიმი და 69 უფლებამოსილი პირი). • 3 შეხვედრა: ფრინველთა სასაკლოების 33 ვეტერინართან, მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის - კამპილობაქტერის, კვლევების განხორციელების აუცილებლობის შესახებ; 69 რეგიონის ინსპექტორთან ფრინველთა სასაკლაოს ბიზნესოპერატორის მიერ კამპილობაქტერის კვლევის ვალდებულების შესრულების კონტროლის შესახებ. • 2024 წელს 29 მარტს ევროკავშირის აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით რეგიონების ინსპექტორებს ჩაუტარდათ ტრენინგი თხილის საწარმოს ინსპექტირების, ინსპექტირების დროს შესაბამისობის შეფასების აქტის ახალი ფორმის შევსებისა და ნიმუშის აღების აქტის შევსებასთან დაკავშირებით. • აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში გაიმართა შეხვედრა ლაბორატორიებთან, სადაც ხდება საექსპორტო თხილის კვლევები და მიეწოდათ ინფორმაცია ევროკავშირის 401/2006 რეგულაციით (საქართველოს მთავრობის 567-ე დადგენილება) განსაზღვრული მიკოტოქსინების კონტროლისათვის სავალდებულო კვლევის მეთოდებისა და ნიმუშის აღების წესის დაცვის ვალდებულების შესახებ. • 2024 წლის ივნისში, ნიდერლანდებში, ჩატარდა (BTSF) მიერ ორგანიზებული პრაქტიკული სწავლება თემაზე: „მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისათვის საჭირო აღჭურვილობის შემოწმება და დაკალიბრება“, რომელსაც დაესრო სურსათის ეროვნული სააგენტოს 2 თანამშრომელი. • 2024 წლის 9-11 ივლისს, თბილისში, ჩატარდა FAO და CzDA მიერ ორგანიზებული ტრენინგი „რისკის კომუნიკაცია“, რომელსაც დაესწრო სააგენტოს 9 თანამშრომელი.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					• 2024 წლის 1-5 ივლისს, ნიდერლანდების სამეფოში ჩატარდა BTSF (Better Training for Safer Food) მიერ ორგანიზებული ტრენინგი თემაზე „სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი პესტიციდების შემასხურებელი აგრეგატების დაკალიებრებაბა, ინსპექტირება და მისი სერტიფიცირება“, რომელსაც დაესწრო სეს-ის ორი თანამშრომელი. • 2024 წლის 21-25 ივლისს, ჩეხეთში, სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა ENPARD IV ის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი ტემაზე - „საველე სწავლებები - სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი პესტიციდების შემასხურებელი აგრეგატების დაკალიებრება, ინსპექტირება, სერტიფიცირება, ბიზნესოპერატორების კონტროლი პესტიციდების გამოყენებასთან და მცენარეთა საკარანტინო მავნე ორგანიზმების მონიტორინგთან დაკავშირებით“, რომელსაც დაესწრო სააგენტოს 7 თანამშრომელი. • 2024 წლის 8-12 აგვისტოს, პორტუგალიაში, ჩატარდა BTSF-ის მიერ ორგანიზებული ტრენინგი თემაზე Food Contact Materials – BTSF (სურსათთან შეხებაში მყოფი მასალები), რომელსაც დაესწრო სურსათის ეროვნული სააგენტოს 2 თანამშრომელი. • 2024 წლის 8-13 სექტემბერს, ლიეტუვაში, ჩატარდა BTSF-ის მიერ ორგანიზებული ტრენინგი თემაზე „ორგანული წარმოება და ორგანული პროდუქტების ეტიკეტირება“, რომელსაც დაესწრო სურსათი ეროვნული სააგენტოს 1 თანამშრომელი. • 2024 წლის 9-14 სექტემბერს, საფრაგეთში ჩატარდა BTSF (Better Training for Safer Food) მიერ ორგანიზებული ტრენინგი თემაზე „სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი პესტიციდების შემასხურებელი აგრეგატების დაკალიბრება, ინსპექტირება და მისი სერტიფიცირება“, რომელსაც დაესწრო სააგენტოს ერთი თანამშრომელი. • 2024 წლის 1-7 სექტემბერს, პოლონეთში, ჩატარდა BTSF (Better Training for Safer Food) მიერ ორგანიზებული ტრენინგი თემაზე „სურსათის გამაუმჯობესებელი აგენტები“, რომელსაც დაესწრო სეს-ის სამი თანამშრომელი. • 2024 წლის 17-23 სექტემბერს, ჩეხეთში, ENPARD IV პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „სურსათში/ცხოველთა საკვებში დამაბინძურებელი ნივთიერებებისა და PPP-ების (პესტიციდების) ნარჩენებისკონტროლის/მონიტორინგის/ტესტირებისათვის ნიმუშების აღების მეთოდები“, რომელსაც ესწრებოდა სეს-ის 9 თანაშრომელი. • 2024 წლის 9-13 სექტემბერს, ჩეხეთში, ჩეხეთის განვითარების სააგენტო ENPARD IV-ის პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ვეტერინარული კონტროლის მიმართულებით ხარისხის მართვის სისტემა ჩეხეთის სახელმწიფო ვეტერინარული ადმინისტრაციის მაგალითზე“, რომელსაც დაესწრო სურსათი ეროვნული სააგენტოს 4 თანამშრომელი.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					• 2024 წლის 17-23 სექტემბერს, ჩეხეთში, ENPARD IV ის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „სურსათში/ცხოველთა საკვებში დამაბინძურებელი ნივთიერებებისა და PPP-ების (პესტიციდების) ნარჩენების კონტროლის/მონიტორინგის/ტესტირებისათვის ნიმუშების აღების მეთოდები“, რომელსაც ესწრებოდა სეს-ის 9 თანამშრომელი. • 2024 წლის 20-26 ოქტომბერს, ავსტრიაში, BTSF (Better Training for Safer Food) მიერ ორგანიზებული ტრენინგი თემაზე „სურსათის ჰიგიენა და ხორცის კონტროლი“, რომელსაც დაესწრო სეს-ის ორი თანამშრომელი. • 2024 წლის 27.10-02.11, ყაზახეთში, ჩატარდა BTSF-ის მიერ ორგანიზებული ტრენინგი თემაზე „ევროკავშირის იმპორტის რეჟიმი ცხოველური წარმოშობის სურსათისთვის“, რომელსაც დაესწრო სურსათის ეროვნული სააგენტოს 7 თანამშრომელი. • 2024 წლის 19-20 ნოემბერს, თბილისში ჩატარდა ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA) მიერ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "საქართველოში სურსათის უვნებლობისა და SPS სექტორის მხარდაჭერა ENPARD IV-ის ფარგლებში", რომელიც თანადაფინანსებულია თბილისში შვედეთის საელჩოს, ჩეხეთის განვითარების სააგენტოსა (CzDA) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ. პროექტს ახორციელებენ FAO და CzDA, სემინარი თემაზე პესტიციდების მდგრადი გამოყენების შესახებ (დირექტივა 2009/128/EC - SUD), რომელსაც დაესწრო სურსათის ეროვნული სააგენტოს 69 თანამშრომელი. • 2024 წლის 9-13 დეკემბერს, საბერძნეთში, ჩატარდა BTSF-ის მიერ ორგანიზებული ტრენინგი თემაზე „გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ტრადიციული სურსათის შესახებ კანონმდებლობა და მათი კონტროლი“, რომელსაც დაესწრო სურსათის ეროვნული სააგენტოს 3 თანამშრომელი. • 2024 წლის 9-13 დეკემბერს, ბულგარეთში, ჩატარდა BTSF (Better Training for Safer Food) მიერ ორგანიზებული ტრენინგი თემაზე „ცხვრისა და თხის ყვავილი“, რომელსაც დაესწრო სეს-ის ორი თანამშრომელი. • 2024 წლის 9-14 დეკემბერს, მალტაში, ჩატარდა BTSF-ის მიერ ორგანიზებული ტრენინგი თემაზე „პესტიციდებისა და ბიოციდების სახით გამოყენებული მიკროორგანიზმების რისკის შეფასება და რეგისტრაცია“, რომელსაც ესწრებოდა სააგენტოს 2 თანამშრომელი.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
4.3.3. სანიტარიული და ფიტოსანიტარიული მიმართულებით ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების დანერგვა ან/და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება	ლაბორატორიაში დანერგილი და/ან აკრედიტირებული კვლევის ახალი მეთოდების რაოდენობა, რომლებიც დაემატება ლაბორატორიული მომსახურების ჩამონათვალს	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია	2024 წლის განმავლობაში ლაბორატორიაში დაინერგა 68 ახალი მეთოდი (19 მეთოდი მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის მიმართულებით, 42 ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის მიმართულებით და 7 სურსათის კვლევის მიმართულებით). აღნიშნული მეთოდებიდან აკრედიტირებულია 45 მეთოდი (ფიტო 19, ვეტი 21, სურსათი 5).
ამოცანა 4.4.	სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის განხორციელება				
4.4.1 სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის პროცედურების განხორციელება	განხორციელებული სასაზღვრო სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული პროცედურების რაოდენობა	განხორციელებული პროცედურების შედეგები ასახულია კონტროლის აქტებში - შესაბამის პროგრამულ მოდულში	შემოსავლების სამსახური	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო	• ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლი განხორციელდა - 13 553 სასაქონლო პარტიის მიმართ; • ფიტოსანიტარული სასაზღვრო კონტროლი განხორციელდა - 23 337 სასაქონლო პარტიის მიმართ; • არა-ცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლი განხორციელდა - 4 106 სასაქონლო პარტიის მიმართ.
მიზანი 5.	საბაჟო სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასა და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოება				
ამოცანა 5.1.	საქართველოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების (AEO) პროგრამის შემდგომი დაახლოება ევროკავშირის პროგრამასთან				
5.1.1 AEO პროგრამის შესაძლებლობების განვითარება	AEO პროგრამის განვითარების მიზნით გაიმართა ტექნიკური მხარდაჭერის შეხვედრები	უწყების წლიური ანგარიში www.rs.ge	შემოსავლების სამსახური		მიმდინარეობს პარტნიორი ორგანიზაციების იდენტიფიცირება მოცემული აქტივობის განხორციელების მიზნებისთვის.
5.1.2 AEO-ის ურთიერთ აღიარების მემორანდუმის გაფორმების მიზნით საქართველოს მხრიდან დამატებითი აქტივობების განხორციელება კონსულტაციების მიზნით	წარმოებული კონსულტაციები	საბაჟო ქვეკომიტეტის სხდომის ოქმი - https://trade.ec.europa.eu/	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; შემოსავლების სამსახური	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	შემუშავებულია ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების ურთიერთაღიარების შეთანხმების პროცესის გეგმის სამუშაო ვერსია, DG TAXUD-ის მიერ. იდენტიფიცირებულია და წარმოდგენილია სგბ-ები AEO-ს ურთიერთ-აღიარების მექანიზმის მიზნებისთვის. საქართველო ევროკავშირის შორის საბაჟო ქვე-კომიტეტის შეხვედრაზე (6 ივნისი) ქართულმა მხარემ გააჟღერა AEP პროგრამასთან დაკავშირებული საიხლეები. მხარეები შეთანხმდნენ მომავალში გააგრძელონ მუშაობა AEO პროგრამის საკითხებზე. საქართველოს ეროვნული AEO პროგრამა გაიზარდა 25 ოპერატორამდე საიდანაც 20 სარგებლობს AEO-S სტატუსით.
ამოცანა 5.2.	„ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (CTC) და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (SAD) კონვენციებთან მიერთების მიზნით “ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის” “NCTS” იმპლემენტაციისთვის საინფორმაციო-ტექნოლოგიური მხარდაჭერა				
5.2.1 „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (CTC) და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (SAD)	კონვენციასთან მიერთების პროცედურა დასრულებულია საქართველოს მხრიდან	წლიური ანგარიში/ პრესრელიზი; www.rs.ge	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ შემოსავლების სამსახური		1. 2024 წლის ოქტომბერს მიღებულ იქნა მოწვევა რათა საქართველო შეუერთდეს კონვენციებს 2. დასრულდა კონვენციასთან მიერთების შიდა პროცედურები 3. 19 დეკემბერს კონვენციებთან მიერთების ინსტრუმენტები გაიგზავნა ევროპის საბჭოში (კონვენციის დეპოზიტარი) 4. შეერთება ძალაში შედის 2025 წლის 1 თებერვლიდან

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
კონვენციებთან მიერთება					
5.2.2. NCTS კომპიუტერული პროგრამის ტესტირება	შემოსავლების სამსახურში დანერგილი პროგრამის ტესტირება დასრულებულია	საბაჟო მონაცემთა მართვის ავტომატიზებული სისტემა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ შემოსავლების სამსახური		2024 წლის 24 ოქტომბერს დასრულდა შესაბამისობის ტესტირებების მესამე, საერთაშორისო ფაზა. წარმატებით გაიცვალა ინფორმაცია თურქეთის, ბულგარეთის, ავსტრიისა და ხორვატიის საბაჟო ადმინისტრაციებთან
5.2.3. საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომელთა და კერძო სექტორის წარმომადგენელთა ტრენინგი NCTS კომპიუტერული პროგრამის გამოყენებისთვის	ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა	წლიური ანგარიში/ პრესრელიზი; www.rs.ge	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ შემოსავლების სამსახური		რეგულარულად ხორციელდება ტესტირების პროცესში ჩართული თანამშრომლების ტრენინგი. რეგულარულად ხორციელდება ტესტირების პროცესში ჩართული თანამშრომლებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლების ტრენინგი. 2024 წლის 4 და 6 დეკემბერს გაიმართა შეხვედრები ბანკების, ბანკების ასოციაციის, ეროვნული ბანკისა და სადაზღვეო კომპანიების წარმომადგენლებთან
ამოცანა 5.3.	ახალი საბაჟო კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა				
5.3.1. ახალი საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების საიმპლემენტაციო ნორმების შემუშავების მიზნით სამუშაო შეხვედრების/ სემინარების ორგანიზება	ორგანიზებული შეხვედრების რაოდენობა	www.rs.ge	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ შემოსავლების სამსახური		მიმდინარეობს პარტნიორი ორგანიზაციების იდენტიფიცირება მოცემული აქტივობის განხორციელების მიზნებისთვის
5.3.2. ახალი საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების საიმპლემენტაციო დებულებების შემუშავება	საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების-დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვა და გამარტივებული დეკლარაცია - საიმპლემენტაციო დებულებები შემუშავებულია	www.matse.gov.ge; www.rs.ge	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ შემოსავლების სამსახური		მიმდინარეობს პარტნიორი ორგანიზაციების იდენტიფიცირება სამართალშემოქმედებითი პროცესის მხარდაჭერის მიზნით
5.3.3 საქართველოს საბაჟო კოდექსის X წიგნის საიმპლემენტაციო ნორმების შემუშავება	მიღებული საიმპლემენტაციო ნორმა	www.matse.gov.ge	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ შემოსავლების სამსახური	შემოსავლების სამსახური	მიმდინარეობს პარტნიორი ორგანიზაციების იდენტიფიცირება სამართალშემოქმედებითი პროცესის მხარდაჭერის მიზნით

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
მიზანი 6.	დაფუძნების, მომსახურებით ვაჭრობისა და ელექტრონული კომერციის სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან				
ამოცანა 6.1.	ტელეკომუნიკაციების, ელ. კომერციისა და ფოსტის მომსახურების სფეროებში ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შემუშავება და საფოსტო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა				
6.1.1. ასოცირების შეთანხმების XV-B და XV-C დანართების განახლება	განახლებული XV-B და XV-C დანართები	www.matsne.gov.ge www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს კომუნიკაცი ების ეროვნული კომისია	ევროკომისიასთან მიმდინარეობს მუშაობა ასოცირების შეთანხმების ევროკომისიასთან მიმდინარეობს მუშაობა ასოცირების შეთანხმების დანართებში XV-B (სატელეკომუნიკაციო მომსახურებისათვის განსაზღვრული წესები) და XV-C (საფოსტო და საკურიერო მომსახურებებისთვის მოქმედი წესები) ცვლილებების შეტანაზე; ორივე დანართთან მიმართებით მხარეების მიერ ცვლილებების თაობაზე მიღებულია გადაწყვეტილება. ცვლილებების შეტანის მიზნით, იგეგმება შემდგომი სამართლებრივი პროცედურების განხორციელება.
6.1.2. საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შეთანხმების XV-B დანართით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან	XV-B დანართით გათვალისწინებულ ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან დაახლოების მიზნით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები	matsne.gov.ge dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	მომზადებულია ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, ევროპარლამენტის შემდეგ დირექტივებთან დაახლოების მიზნით: • ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავების და კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ (2002/58/EC); • ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების ავტორიზაციის შესახებ (2002/20/EC); • ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან და მათთან დაკავშირებულ ობიექტებთან წვდომისა და ურთიერთდაკავშირების შესახებ (2002/19/EC); • ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების საერთო მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ (2002/21/EC). ამასთან, სატელეკომუნიკაციო უნივერსალური მომსახურების დანერგვის მიზნით, მომზადებულია ევროპული ელექტრონული საკომუნიკაციო კოდექსის (EECC) მიხედვით ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“. თუმცა, ვეროკავშირთან მოლაპარაკებების შედეგად, იგეგმება XV-B დანართის განახლება, რომლის შესაბამისადაც ზემოაღნიშნული დირექტივებით განსაზღვრული საკითხები იმპლემენტირებული იქნება ევროპული ელექტრონული საკომუნიკაციო კოდექსის (EECC) შესაბამისად. დანართი XV-B-ის განახლების თაობაზე მიღებულია გადაწყვეტილება. ცვლილებების შეტანის მიზნით, იგეგმება შემდგომი სამართლებრივი პროცედურების განხორციელება, რის შემდგომაც EU4Digital ინიციატივის (EU4Digital Facility) ფარგლებში, მომზადდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები,

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
6.1.3. "ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის განახლებული ვერსიის შემუშავება	მიღებული "ფოსტის შესახებ" საქართველოს	matsne.gov.ge dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		ევროკავშირთან მოლაპარაკებების შედეგად, იგეგმება XV-C დანართის განახლება (რომელზეც მიღებულია გადაწყვეტილება და იგეგმება, ცვლილებების შეტანის მიზნით, შემდგომი სამართლებრივი პროცედურების განხორციელება), რომლის შესაბამისად, 97/67/EC amended by Directives 2002/39/EC, 2008/6/EC დირექტივებზე დამატებით, საქართველო აიღებს საზღვრისპირა ამანათების მიწოდების შესახებ რეგულაციებთან ((EU) 2018/644, (EU) 2018/1263 დაახლოვების ვალდებულებას. ეს უკანასკნელი Facility for the Implementation of the EU – Georgia Association Agreement-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში უკვე აისახა „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში. უახლოეს პერიოდში დაგეგმილია კანონპროექტისა და მისი თანმდევი კანონპროექტების წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის.
მიზანი 7.	საჯარო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება				
ამოცანა 7.1.	საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება და ამ თემატიკასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებების და ინსტრუქციების შემუშავება				
7.1.1. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება ასოცირების შეთანხმების, XVI-D, XVI-E, XVI-F, XVI-I, XVI-J, XVI-K დანართების შესაბამისად	"საჯარო შესყიდვების შესახებ" მიღებულ კანონში ცვლილებების მომზადება ასოცირების შეთანხმების, XVI-E XVI-F დანართების შესაბამისად. კონცესიების შესახებ დირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება	www.matsne.gov.ge; www.procurement.gov.ge; www.spa.ge;	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს მთავრობა, სამინისტროები საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	ასოცირების შეთანხმების ვალდებულებების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ დაიწყო ევროკავშირის კომუნალური სექტორის დირექტივასთან დაახლოების პროცესი. ამ მიზნით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტის მიერ მომზადდა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის კომუნალური სექტორის დირექტივასთან სამართლებრივ დაახლოებას. კონსულტაციების შედეგად, კანონპროექტში უკვე ასახულია OECD-SIGMA-ს შენიშვნები. ამჟამად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მუშაობს კანონპროექტში, ევროკომისიის მიერ გამოთქმული შენიშვნების ასახვის საკითხებზე. 2024 წლის მაისში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დელეგაციამ გამართა კონსულტაციები ქ. ბრიუსელში, ევროკომისიის DG GROW დირექტორატში, სადაც სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს საჯარო შესყიდვების კანონთან დაკავშირებით ევროკომისიის მიერ გამოთქმული რეკომენდაციები და შენიშვნები. კანონის ევროდირექტივებთან სრული ჰარმონიზაციისათვის მხარეების შეთანხმდნენ შემდგომ ნაბიჯებზე.
7.1.2. საჯარო შესყიდვების შესახებ კანონიდან გამომდინარე "მეორადი კანონმდებლობის" - კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება და მიღება	სრულად მიღებული მეორადი კანონმდებლობა	www.matsne.gov.ge; www.procurement.gov.ge; www.spa.ge;	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავების მიზნით. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, ევროპელი ექსპერტის მხარდაჭერით მომზადდა 33 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს 2025 წლის 1 იანვარამდე.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
7.1.3. მიღებული საჯარო შესყიდვების შესახებ კანონიდან გამომდინარე სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებებისა და ინსტრუქციების შემუშავება და ელექტრონულად გამოქვეყნება ვებ-გვერდზე	გამოქვეყნებული მეთოდური მითითებები, სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; www.procurement.gov.ge; www.spa.ge	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		„საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და შესყიდვების სფეროში მიმდინარე რეფორმების გაცნობის და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით მომზადდა და გამოიცა სახელმძღვანელოების - "მდგრადი საჯარო შესყიდვები" და "საჯარო შესყიდვები ევროკავშირში: გზამკვლევი ქართული ბიზნესისთვის" ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი რედაქციები, ხოლო "ენერგო-ეფექტური საჯარო შესყიდვების" ინგლისურენოვანი რედაქცია.
ამოცანა 7.2.	სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდერნიზება				
7.2.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (e-Procurement) ახალი ელ. სერვისების, პროცედურების და ინსტრუმენტების განვითარება/დანერგვა	სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დამატებით დანერგილი სერვისები და შესაძლებლობები;	მოდერნიზებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (e-Procurement; Electronic Government procurement system); სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; www.procurement.gov.ge; www.spa.ge	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის სისტემა (CTD) - ctd.spa.ge სისტემას დაემატა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შევსებული გეგმების ექსელში ექსპორტი. ასევე მიმდინარე გეგმაზე უარის თქმის შესაძლებლობა, რომელთა შესყიდვასაც არ აპირებს ორგანიზაცია, ეს ორგანიზაციები აისახება ცალკე სიაში რომლის ექსპორტიც შესაძლებელია ცალკე ექსელის ცხრილში. ასევე დაემატა გაცემული ნებართვების სტატისტიკა და ფილტრაცია სასურველი მონაცემებით. დაიწყო სტატისტიკის ვებგვერდების stats.spa.ge და charts.procurement.gov.ge-ს გადაწერა და ახალ ერთ ვებგვერდად ჩამოყალიბება. Training.spa.ge - ტრენინგ ცენტრის სამართავ პანელში შევიდა ცვლილებები, ტრენინგ ცენტრის მოთხოვნების შესაბამისად.
ამოცანა 7.3.	ადამიანური რესურსების განვითარება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში				
7.3.1. საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონიდან გამომდინარე ტრენინგების განხორციელება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლებისათვის	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა: ჯამში 20 გადამზადებული თანამშრომელი.	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; www.procurement.gov.ge; www.spa.ge	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		28 თებერვალს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ჩატარდა საერთაშორისო სემინარი თემაზე: ,,ხარისხის ინფრასტრუქტურა, როგორც საუკეთესო საშუალება საჯარო შესყიდვებში ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“. სემინარი გაიმართა ევროკავშირის „ტვინინგის“ პროექტის „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გაძლიერება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“ ფარგლებში. სემინარს ესწრებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, სახელმწიფო აუდიტი სამსახურის და საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები. სემინარი ჩაატარა „ტვინინგის“ პროექტის საერთაშორისო ექსპერტმა დანიელ მასომ.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					მიმდინარე წლის 21-22 მარტს, რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში, მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გაიმართა საერთაშირისო სემინარი, რომელიც ეძღვნებოდა ევროკავშირის ქვეყნებში ცენტრალიზებული შესყიდვების სისტემის განვითარებას. სემინარში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლებმა. მიმდინარე წლის 23-25 აპრილს USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ტრენერებისთვის გაიმართა ტრენინგი რომელიც ფოკუსირებული იყო საჯარო შესყიდვების შესახებ ახალ კანონზე, შესყიდვების ახალ წესებსა და პროცედურებზე. 29-30 მაისს, თბილისის ქორთიარდ მარიოტში ჩატარდა მსოფლიო ბანკის რიგით 17-ე PRIMO ფორუმი, „მდგრადი და მწვანე შესყიდვები ცირკულარული ეკონომიკისთვის“ . ფორუმს ესწრებოდნენ საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან 100-ზე მეტი მოწვეული სტუმარი. ღონისძიებაზე მოწვეულმა ექსპერტებმა ისაუბრეს მოწინავე გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკაზე საჯარო შესყიდვების სფეროში. ფორუმი მიზნად ისახავდა რეგიონალური და გლობალური თანამშრომლობის მხარდაჭერას, საჯარო შესყიდვების ხარისხის შედეგების გასაუმჯობესებლად. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა, საჯარო შესყიდვების თემატიკასთან დაკავშირებით, მონაწილეობა მიიღეს სხვადაქსხვა საერთაშორისო კონფერენციაში: • 2024 წლის 10-11 ივნისს, ყირგიზეთის რესპუბლიკის "ისიკ-კულ"-ის რეგიონში გაიმართა საერთაშორისო ფორუმი თემაზე "სახელმწიფო შესყიდვები - ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტი და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება", რომელშიც მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელმა. შეხვედრაზე, ფორუმის მონაწილეები გაეცნენ საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მიმდინარე რეფორმებზე. • 17 ივნისს სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში OECD-SIGMA-ს თანაორგანიზებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომელთათვის გაიმართა ტრენინგი ევროკავშირის დირექტივების ძირითად პრინციპებზე. კვალიფიცირებულმა ექსპერტმა სლოვენიიდან, ავსტრიიდან და ხორვატიიდან შეხვედრაზე ისაუბრეს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ევროკავშირის მოწინავე გამოცდილებაზე, საქართველოს საჯარო შესყიდვების ახალი კანონმდებლობის შესაბამისობაზე ევროკავშირის დირექტივებთან და სატენდერო დოკუმენტებში კონფიდენციალურობის დაცვის მნიშვნელობაზე.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					2024 წლის 11-12 დეკემბერს, აზიის განვითარების ბანკის მიერ, (ADB) ფილიპინების ქალაქ მანილაში ჩატარდა აზიის წყნარი ოკეანის საჯარო ელექტრონული შესყიდვების ქსელის მე-10 კონფერენცია. კონფერენციაზე განხილული იქნა საჯარო შესყიდვების ციფრული ტრანსფორმაციის და ელექტრონული შესყიდვების გამოყენების მთავარი ასპექტები უფრო ფართო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად მდგრადი განვითარების და კეთილდღეობის კუთხით. 2024 წლის 13 დეკემბერს, აზიის განვითარების ბანკმა ჩაატარა ტრენინგი საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის უსაფრთხოების შესახებ, რამაც უზრუნველყო ტრენინგის მონაწილეები გაცნობოდნენ სხვადასხვა საერთაშორისო პრაქტიკებს ელექტრონული შესყიდვების სისტემის უსაფრთხოდ შენარჩუნებისთვისა და ოპერაციული შესაძლებლობის გაზრდის მნიშვნელობის თაობაზე.
7.3.2. საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონიდან გამომდინარე ტრენინგების განხორციელება შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის	შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორების და დაინტერესებული მხარეების გადამზადებული თანამშრომელების რაოდენობა: 15 ნაკადი 2024 სასწავლო წლის განმავლობაში. ჯამში 320 მსმენელი.	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; www.procurement.gov.ge; www.spa.ge	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		სახელმწიფოს შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, სააგენტოს თანამშრომლების მიერ, 2024 წელს ჩატარდა ტრეინინგების 11 კურსი თემაზე „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“. აღნიშნული ტრეინინგის ფარგლებში, ჯამში გადამზადდა 273 სპეციალისტი, რომლებიც შესყიდვების კუთხით, დასაქმებულები არიან სახელმწიფო უწყებებში, მათზე დაქვემდებარებული სსიპ-ებსა და შპს-ებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მათ მიერ დაფუძნებულ და მათ მართვაში არსებულ ააიპ-ებში. მონაწილეებს ტესტირების საფუძველზე გადაეცათ სერტიფიკატები. 2024 წლის 15-16 ივნისს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, OECD-SIGMA-ს და USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის თანამშრომლობის ფარგლებში, კახეთში, სასტუმრო „ლოპოტა სპა რეზორტ“-ში ჩატარდა ორდღიანი საერთაშორისო სემინარი, რომელიც შეეხო სახელმწიფო/საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ ევროკავშირის მოქმედ კანონმდებლობას, საუკეთესო პრაქტიკებს, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, სასამართლო პროცესებში მოსამართლეთა როლს და სხვა აქტუალურ თემებს. აღნიშნულ სემინარზე მოწვეულნი იყვნენ ავსტრიის ფედერალური მოსამართლე, ხორვატიის დავების განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი და OECD-SIGMA-ს ექსპერტი. შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს, ქუთაისისა და თბილისის სააპელაციო და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა (20 მოსამართლე). მონაწილეები გაეცნენ ევროპის საჯარო შესყიდვების შესახებ საუკეთესო პრაქტიკას, ხოლო სემინარის ბოლოს გაიმართა დისკუსიები.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
მიზანი 8.	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ევროკავშირის სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოება				
ამოცანა 8.1.	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
8.1.1 შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების და კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვი, ასევე მოსამართლეებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხზე ტრენინგების ჩატარება	საანგარიშო პერიოდში ორგანიზებული / ჩატარებული არანაკლებ ხუთი ტრენინგი / სემინარი / სამუშაო შეხვედრა	www.sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა	მიმდინარე წლის 24-25 იანვარს საქპატენტის სათავო ოფისში ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი თუშური გუდას ასოციაციის წევრებისთვის. ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ ასოციაციის მართვის ძირითად პრინციპებს, შიდა კონტროლის სტრუქტურას და გარე საკომუნიკაციო სტრატეგიას. ქართველი ფერმერების, მეწარმეებისა და ასოციაციების ხელშეწყობის მიზნით, ტრენინგები ჩატარდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრისა - „საქპატენტი“ და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს მწარმოებლების შესაძლებლობების გაძლიერებას. 2024 წლის ივნისსა და სექტემბრის თვეში საქართველო-შვეიცარიის ინტელექტუალური საკუთრების პროექტის (GESIP) ფარგლებში, შვეიცარიული მხარის უშუალო მონაწილეობითა და საქპატენტის შუამდგომლობით, უცხოელი ექსპერტები და პროექტის კოორდინატორები იმყოფებოდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გეოგრაფიული აღნიშვნის პროდუქტების მწარმოებლებთან შესახვედრად. სამუშაო შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ტენილი ყველისა და რაჭული ლორის სპეციფიკაციების შედგენა-დაზუსტება, ასევე, გეოგრაფიული აღნიშვნების კონტროლის სისტემის განხილვა მათ მწარმოებლებთან.
ამოცანა 8.2.	ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან				
8.2.1. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების განხორციელება (კანონის მიღება), ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით	„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები	www.matsne.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“;		„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ იქნა შემდეგი ცვლილებები: • კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 16 დეკემბრის 2015/2436 სასაქონლო ნიშნების დირექტივასა და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 14 ივნისის 2017/1001 ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციასთან; • გაიზარდა საქპატენტის სააპელაციოს პალატის უფლებამოსილებები; • შეიცვალა და უფრო ნათლად გაიწერა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური და შედარებითი საფუძვლები; • შემცირდა სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის ჩატარების ვადა. ასევე, გამარტივდა ექსპერტიზის პროცედურა, როგორც საქპატენტის ექსპერტებისთვის, ისე განმცხადებლებისთვის; • შესაძლებელი გახდა სასაქონლო ნიშნის დაყოფა; • შეიცვალა და ახლებურად ჩამოყალიბდა სასაქონლო ნიშნის ცნება;შესაძლებელი გახდა ცალკე აღებული ფერის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია;

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					• ცვლილება შეეხო სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების საკითხს; • შესაძლებელი გახდა ახალი სახეობის ნიშნების რეგისტრაცია, კერძოდ, სამგანზომილებიანი სასაქონლო ნიშნების, ჰოლოგრამისა და სასერტიფიკაციო ნიშნებისა; • დარეგულირდა ექსპერტიზის ეტაპზე საქონლისა და მომსახურების კლასიფიცირება ისეთი ფორმით, რომ შესაძლებელი იყოს მოთხოვნილი დაცვის ფარგლების ზუსტად და ცხადად განსაზღვრა.კანონს დაემატა ახალი თავი, რომელიც არეგულირებს სასერტიფიკაციო ნიშანთან დაკავშირებულ დებულებებს. • კანონს დაემატა ნორმები, რომლებიც არეგულირებს ურთიერთობას რეგისტრირებულ კონფლიქტურ სასაქონლო ნიშნებს შორის; • დაემატა განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელის უფლება სასაქონლო ნიშნის მფლობელის თანხმობის გარეშე აღძრას სარჩელი, იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი შეტყობინების შემდეგ გონივრულ ვადაში თავად არ აღძრავს სარჩელს; • დაემატა სასაქონლო ნიშნის მფლობელის ვალდებულება, რეგისტრაციის გაუქმებასთან ერთად წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ მან შეატყობინა ლიცენზიატს სასაქონლო ნიშნის გაუქმების განზრახვის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშანზე რეგისტრირებულია სალიცენზიო ხელშეკრულება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/6105085?publication=0 https://matsne.gov.ge/ka/document/view/11482?publication=11
ამოცანა 8.3.	სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ ინსტიტუციური გაძლიერება				
8.3.1. საქპატენტის თანამშრომელთათვის ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების გამართვა; მესამე ქვეყნების მთავრობებსა და სამრეწველო ასოციაციებთან ორმხრივი შეხვედრების და სემინარების ორგანიზება, რათა გაზიარებულ იქნას განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება	თანამშრომელთათვის ორგანიზებული შეხვედრებისა და ტრენინგების რაოდენობა (არანაკლებ ხუთი ტრენინგი/სამუშაო შეხვედრა/სემინარი)	sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		15-17 აპრილს, საქართველოსთვის მინიჭებული კანდიდატის სტატუსის გათვალისწინებით, საქპატენტის თანამშრომლები დაესწრნენ თანამშრომლობის 22-ე, სავაჭრო ნიშნების შესახებ 31-ე და დიზაინის შესახებ 23-ე სამეკავშირეო შეხვედრებს, რომლებიც გაიმართა EUIPO-ს ოფისში, ქ. ალიკანტეში. ღონისძიებაზე სხვადასხვა ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების უწყებების წარმომადგენლები იკრიბებიან, რათა ისაუბრონ ინტელექტუალური საკუთრების საზოგადოების განვითარებების პერსპექტივების შესახებ. 13 და 15 მაისს ევროპის საპატენტო უწყების (EPO) ექსპერტებმა საქპატენტის გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის ქიმიის, მედიცინისა და ბიოლოგიის სამმართველოს თანამშრომლებისთვის ბიოტექნოლოგიისა და ფარმაციის სფეროში სასწავლო სესიები ჩაატარეს. სასწავლო აქტივობის მიზანი იყო საქპატენტის თანამშრომლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და მათთვის იმ სტანდარტებისა და ინსტრუმენტების

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					გაცნობა, რომლებიც ევროპის საპატენტო უწყების მიერ ექსპერტიზის ეტაპზე გამოიყენება. 26 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით, საქპატენტის თანამშრომელმა, მონაწილეობა მიიღო 2024 წლის ,,სარტყლისა და გზის“ ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო სემინარში (2024 Belt and Road Intellectual Property Training Workshop), რომელიც ჩატარდა ჩინეთის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ადმინისტრაციის (CNIPA) მიერ პეკინში. სასწავლო სემინარზე გაიმართა ლექციები ჩინეთის ეროვნული ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის, ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი ჩარჩოსა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის სისტემის შესახებ. ასევე, გაიმართა ინტელექტუალური საკუთრების სესიები, სადაც მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ქვეყნის ანგარიში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში თავიანთი ქვეყნების უახლესი განვითარების შესახებ. 27,28 და 29 მაისს საქპატენტისა და შვეიცარიის ინტელექტუალური საკუთრების ფედერალური ინსტიტუტის (IPI) ერთობლივი პროექტის (GESIP) ფარგლებში, საქპატენტის გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის თანამშრომელთა (9 თანამშრომელი) პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ჩატარდა ტრენინგები „მოქმედების თავისუფლების ძიება (FTO) ქიმიის დარგში“. ტრენინგზე განხილული იყო მოქმედების თავისუფლების (FTO) ძიების სტრატეგიები, ინსტრუმენტები და მონაცემთა ბაზები. 18,19 და 20 ივნისს საქპატენტისა და შვეიცარიის ინტელექტუალური საკუთრების ფედერალური ინსტიტუტის (IPI) ერთობლივი პროექტის (GESIP) ფარგლებში, საქპატენტის გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის თანამშრომელთა (10 თანამშრომელი) პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა ტრენინგი „ბიოტექნოლოგიის დარგში გამოგონებების პატენტუნარიანობა და მოქმედების თავისუფლების (FTO) ძიება“. 29-30 აპრილს ესპანეთში, ქ. ალიკანტეში ინტელექტუალური საკუთრების სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) ორგანიზებით რიგით მე-5 კონფერენცია გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქპატენტის წარმომადგენლები. ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების სააპელაციო საბჭოს მიერ ორგანიზებული კონფერენციის მიზანია ინტელექტუალური საკუთრების სფეროში პროფესიული ინტერესების ფართო სპექტრის მქონე სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი ექსპერტების შეკრება, რათა გამოცდილებისა და მოსაზრებების გაზიარებით განიხილონ ინტელექტუალური საკუთრების სასამართლო პრაქტიკასა და

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					კანონმდებლობაში არსებული გლობალური გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები. 21 მაისს, ესპანეთში, ქ. ალიკანტეში, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) ორგანიზებით, თაღლითობის საწინააღმდეგო ქსელის (Anti-Scam Network Meeting) მე-9 შეხვედრა გაიმართა. ალიკანტეში გამართულ შეხვედრაზე საქართველომ (საქპატენტის წარმომადგენელმა), როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატმა ქვეყანამ პირველად მიიღო მონაწილეობა. აღნიშნული ქსელის მთავარი მიზანია თაღლითურ ქმედებებთან ბრძოლა საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის საფუძველზე. 2024 წლის 3-14 ივნისს, მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციისა (WIPO) და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) ორგანიზებით, ქ. ჟენევაში გაიმართა აღმასრულებელი პროგრამა ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკის საკითხებზე (WIPO-WTO Executive Programme on Intellectual Property Policy Issues), რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქპატენტის წარმომადგენელმა. 19 სექტემბერს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისში (EUIPO) გაიმართა EUIPO-სა და კავშირის მცენარეთა ჯიშების ოფისის (CPVO) ერთობლივი სემინარი - ინოვაციების სტიმულირების 30 წელი (30 years of incentivising innovation), რომელსაც დაესწრენ საქპატენტის წარმომადგენლები. სემინარზე განხილული იყო ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში და მცენარის ჯიშებთან, სასაქონლო ნიშნებთან, სავაჭრო საიდუმლოებისა და გეოგრაფიული აღნიშვნებთან დაკავშირებული თემები. 20 სექტემბერს გაიმართა შეხვედრა კავშირის მცენარეთა ჯიშების ოფისის (CPVO) წარმომადგენელთან. შეხვედრის მიზანი იყო მცენარეთა ჯიშების მიმართულებით მომავალი თანამშრომლობის თემების გამოკვეთა. 2024 წლის 11-14 სექტემბერს საქპატენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს რიგით მესამე "სარტყლისა და გზის" ინტელექტუალური საკუთრების შესახებ მაღალი დონის კონფერენციაში, ქ.პეკინში (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), სადაც ჩინეთის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ადმინისტრაციასა და საქპატენტს შორის, გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სფეროში, ოფიციალური შეთანხმება შედგა. ორმხრივ შეხვედრაზე ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლითაც მხარეებმა დაადასტურეს თავისი განზრახვა ითანამშრომლონ გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის მიმართულებით.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					2024 წლის 19-21 სექტემბერს ჩინეთში, ქალაქ სიანში „აბრეშუმის გზის“ რიგით მე-8 საერთაშორისო გამოფენა გაიხსნა და, ასევე, გაიმართა აღმოსავლეთ და დასავლეთ ჩინეთს შორის თანამშრომლობის საინვესტიციო და სავაჭრო ფორუმი. ღონისძიება ორგანიზებული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ადმინისტრაციისა და შანქსის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის მიერ. საქართველოს განვითარების უახლესი მიღწევების სრულად წარმოსაჩენად და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მხრიდან ღონისძიებას საქპატენტის თანამშრომელი დაესწრო. საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ფორუმის გახსნის ღონისძიებაში და სიტყვით გამოვიდა თემაზე: „ინტელექტუალური საკუთრება ხელს უწყობს მაღალი ხარისხის განვითარებას“. 2024 წლის 19-20 სექტემბერს, ქ.ანკარაში (თურქეთი), ევროპის საპატენტო უწყებისა (EPO) და თურქეთის საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყების „თურქპატენტის“ მიერ ერთობლივი ორგანიზებით “PATLIB 2024 კონფერენცია” გაიმართა. კონფერენციაზე მონაწილეობა საქპატენტის წარმომადგენელმა მიიღო, სადაც განიხილეს მნიშვნელოვანი მიმდინარე მიღწევები და სტრატეგიები სამრეწველო საკუთრების სფეროში. 2024 წლის 1-2 ოქტომბერს ქ. ბუდაპეშტში (უნგრეთი) ჩატარდა მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენცია „ინტელექტუალური საკუთრება ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში“, რომელსაც ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - “საქპატენტის” წარმომადგენლები დაესწრნენ. კონფერენციის მთავარი თემა იყო კავშირი ხელოვნურ ინტელექტსა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას შორის. კონფერენცია მოიცავდა ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორებიცაა: „ხელოვნური ინტელექტი, სამრეწველო საკუთრება და გამჭვირვალობა“, „აღსრულება ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში“, „გენერაციული ხელოვნური ინტელექტის საავტორო უფლებების გამოწვევები“ და „ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული IT ხელსაწყოები ინტელექტუალური საკუთრების უწყებებში“. 2024 წლის 14-16 ოქტომბერს საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო თანამშრომლობის შესახებ 23-ე სამეკავშირეო (14 ოქტომბერს), 32-ე სასაქონლო ნიშნების შესახებ (15 ოქტომბერს) და 24-ე დიზაინის შესახებ (16 ოქტომბერს) შეხვედრებში, რომელიც გაიმართა EUIPO-ს ოფისში, ქ. ალიკანტეში. ღონისძიებაზე სხვადასხვა ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების უწყებების წარმომადგენლები იკრიბებიან, რათა ისაუბრონ

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					ინტელექტუალური საკუთრების საზოგადოების განვითარებების პერსპექტივების შესახებ. 2024 წლის 22 ოქტომბერს საქპატენტის თანამშრომლები EUIPO-ს მიერ ორგანიზებულ ვებინარს დაესწრნენ, სადაც გამოცდილების გაზიარება მოხდა სასაქონლო ნიშნების არაკეთილსინდისიერი რეგისტრაციის თემაზე (Trade mark applications made in bad faith). 2024 წლის 1 აგვისტოდან 25 ოქტომბრის ჩათვლით, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის აკადემიის (WIPO Academy) ორგანიზებით, გაიმართა ტრენერთა გადამზადების სამეტაპიანი ინტენსიური პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა საქპატენტის ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერებას და ტრენერთა ბაზის ფორმირებას. პროგრამის მეორე და მესამე ეტაპის ტრენინგებს უძღვებოდნენ WIPO-ს აკადემიის მიერ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები. პროგრამის მონაწილეებმა მიიღეს შესაბამისი ცოდნა და უნარები, რაც მათ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში აქტუალური და მაღალი ხარისხის ტრენინგების დაგეგმვისა და ჩატარების შესაძლებლობას მისცემს. ტრენერთა გადამზადების პროგრამა წარმატებით გაიარა და WIPO-ს აკადემიის სერტიფიკატები გადაეცა 22 მონაწილეს, რომელთაგან 18 საქპატენტის თანამშრომელია, ხოლო 4 მოწვეული აკადემიური პერსონალია პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, მათ შორის, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტიდან. 2024 წლის 12-14 ნოემბერს ჩატარდა WIPO მედიაციისა და არბიტრაჟის სემინარი, რომელსაც საქპატენტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სემინარი ფოკუსირებული იყო WIPO-ს მედიაციის, არბიტრაჟის და დაჩქარებული საარბიტრაჟო წესების პრაქტიკულ გამოყენებაზე, განსაკუთრებული აქცენტით დავების გადაწყვეტის პუნქტების შემუშავებაზე. მომხსენებლებში შედიოდნენ WIPO-ს ექსპერტები, შუამავლები, არბიტრები და შიდა მრჩევლები. 2024 წლის 11-22 ნოემბერს, საქპატენტის წარმომადგენელმა საუდის არაბეთის სამეფოში, ქ.რიადში დიპლომატიურ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც „დიზაინის სამართლის შესახებ“ ხელშეკრულების საბოლოო განხილვისა და მიღების მიზნით გაიმართა. ღონისძიება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ორგანიზებით ჩატარდა. საქართველოსთან ერთად ხელშეკრულების დასკვნითი განხილვის, შემუშავებისა და მიღების პროცესში, ასევე, აღნიშნული ხელშეკრულების რეგლამენტის შეჯერების პროცესში მონაწილეობდნენ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) წევრი ქვეყნები. მიღებული ხელშეკრულების მიზანია დიზაინის განაცხადის პროცედურებისა თუ ფორმალობების ჰარმონიზება.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					საერთაშორისო რეგისტრაციის გაადვილების გზით, დიზაინერებს შესაძლებლობა ეძლევათ მეტად ხელმისაწვდომ და პროგნოზირებად პირობებში დაიცვან საკუთარი ნამუშევარი, როგორც შიდა ბაზარზე, ისე საზღვრებს გარეთ. 2024 წლის 27-28 ნოემბერს თბილისში საერთაშორისო სემინარი სახელწოდებით - „პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო სისტემის რეფორმა საქართველოში“ ჩატარდა. სემინარი საქპატენტისა და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) ორგანიზებითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. სემინარზე მონაწილეებმა საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად, განიხილეს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდასთან, მოსამზადებელ კურსებთან და განგრძობადი პროფესიული განათლების სტანდარტებთან დაკავშირებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. სემინარზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ევროკავშირის პატენტრწმუნებულთა კვალიფიკაციის მოდელებზე, განიხილეს გამოცდის შინაარსის, ფორმატისა და შეფასების სისტემები. ღონისძიებაში საქპატენტის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდა პოლონეთისა და ლატვიის საპატენტო უწყებების ექსპერტები ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ საქართველოს გენერალური პროკურატურის, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის წარმომადგენლები. სემინარზე დისტანციურად მონაწილეობა მიიღეს ინტელექტუალური საკუთრების კვლევის საერთაშორისო ცენტრის (CEIPI) დირექტორმა და ევროპის საკვალიფიკაციო გამოცდის საგამოცდო საბჭოს თავმჯდომარემ ღონისძიებაში, ასევე, დისტანციურად მონაწილეობდნენ უკრაინისა და მოლდოვის ინტელექტუალური საკუთრების ოფისების წარმომადგენლები, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ საქართველოში მიმდინარე რეფორმებს, ასევე, სემინარზე განხილულ საერთაშორისო პრაქტიკას. 2024 წლის 3-4 დეკემბერს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ (WIPO) მოლდოვას ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სააგენტოსთან (AGEPI) და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ადმინისტრაციასთან (CNIPA) ორგანიზებით მოლდოვაში ქ.კიშინეუში, რეგიონული სემინარი გამართა, რომელსაც “საქპატენტის” წარმომადგენლები დაესწრნენ. სემინარი შეეხებოდა გაფართოებულ მარკირების ენაზე (XML) გადასვლას, ასევე მონაცემთა გაცვლასა და აპლიკაციის პროგრამირების „ინტერფეისის“ (API) განხორციელებას. 2024 წლის 8-14 დეკემბერს საქპატენტის თანამშრომლებმა ქ. პეკინში (ჩინეთი), ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ადმინისტრაციის

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					(CNIPA) მიერ სასაქონლო ნიშნების შესახებ ორგანიზებულ სასწავლო ვორკშოპში მიიღეს მონაწილეობა. სემინარის მონაწილეები გაეცნენ ჩინეთის სასაქონლო ნიშნების სისტემის სპეციფიკას, კერძოდ CNIPA-ს სასაქონლო ნიშნის ექსპერტებმა მონაწილეებს გაუზიარეს ინფორმაცია ჩინეთის სასაქონლო ნიშნების სამართლებრივი სისტემის, სასაქონლო ნიშნების, მათ შორის, არატრადიციული ნიშნების, ექსპერტიზის, რეგისტრაციისა და ბათილობის საფუძვლების შესახებ. სემინარის ფარგლებში მოეწყო სასწავლო ვიზიტები CNIPA-ს და სასაქონლო ნიშნების (TMO) ოფისებში, ასევე ადგილობრივ კომპიუტერული პროგრამების კომპანიაში - SOHU. 2024 წლის 10 დეკემბერს საქპატენტის თანამშრომლები EUIPO-ს სააპელაციო პალატის წარმომადგენლების მიერ გამართულ ვებინარს დაესწრნენ, სადაც გაზიარებულ იქნა მათი გამოცდილება შემდეგ თემებზე: • სასაქონლო ნიშნების არაკეთილსინდისიერი რეგისტრაცია (Trade mark applications made in bad faith); • სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე, წარმომადგენლის/აგენტის მიერ საკუთარ სახელზე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია (Agents applying for trade marks without the applicant's consent). 2024 წლის 18 დეკემბერს საქპატენტის თანამშრომელი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ლისაბონის სისტემის ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვის და ინფორმაციის მიწოდების ციფრული ინსტრუმენტების შესახებ ორგანიზებულ ვებინარს დაესწრო. 2024 წლის 23-24 დეკემბერს, საქპატენტის ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა ორდღიანი ვებინარი, რომელიც მიზნად ისახავდა გეოგრაფიული აღნიშვნების სფეროში საქართველოს წარმატებული გამოცდილების გაზიარებას უზბეკეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყების წარმომადგენლებისთვის. სასწავლო აქტივობა დაიგეგმა უზბეკეთის იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური მიმართვის საფუძველზე და მიზნად ისახავდა საქართველოს პრაქტიკის გაცნობას, რაც ხელს შეუწყობს უზბეკეთში გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის ჩამოყალიბებას. ვებინარს უძღვებოდნენ საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის, იურიდიული დეპარტამენტის, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა და ა(ა)იპ „ორიჯინ საქართველოს“ წარმომადგენლები.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
8.3.2 საქპატენტის საქმიანობის პროცესში 1992-2017 წ.წ. ფორმირებული მატერიალური დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება და გაციფრულება (დიგიტალიზაცია); ელექტრონული კატალოგის შექმნა	დოკუმენტების საერთო რაოდენობის 25%-ის სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება, მათ შორის 5 % გაციფრულება; შექმნილი და შიდა მოხმარებისთვის (საქპატენტის თანამშრომლები) ხელმისაწვდომი ელ. კატალოგი.	sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		საქპატენტსა და სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივს შორის 2024 წლის 18 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება (სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N G-31/23), რომლის საფუძველზეც 1 ივლისიდან ეროვნული არქივის წარმომადგენლებმა მცხეთის ოფისში დაიწყეს 1992 წლიდან მატერიალური დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების პროცესი. 1 ივლისიდან 18 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დამუშავდა 7 წლის საარქივო მასალა, კერძოდ, გამოგონებებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის 1992-1996 წლების დოკუმენტები (2341 საქმე) და სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის 1992-1993 წლების დოკუმენტები (1100 საქმე). 2 ოქტომბრიდან დაიწყო დამუშავებული მატერიალური საარქივო დოკუმენტების გაციფრულება (დიგიტალიზაცია). დასკანერებული და შიდა რესურსით შემუშავებული არქივის ელექტრონული კატალოგის სპეციალურ პროგრამაში აიტვირთა გამოგონებებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის 1992-1993 წლების დოკუმენტები (120000 ფაილი).
ამოცანა 8.4.	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლება				
8.4.1. ტრენინგების, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრების ჩატარება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით	ჩატარებული ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების რაოდენობა (არანაკლებ ხუთი ტრენინგი/საინფორმაციო შეხვედრა)	sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	-	26 აპრილს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღის აღსანიშნავად საქპატენტმა სტუდენტებს საქართველოს 13 უნივერსიტეტიდან უმასპინძლა. ხაზი გაესვა ინტელექტუალური საკუთრების დარგის განვითარებაში ახალგაზრდების როლს. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა დაიგეგმა სტუდენტური პროექტის – „კარიერული განვითარების ბანაკის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ევროპული ბიზნეს ასოციაცია (EBA), აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ეკონომიკური მმართველობის პროგრამასთან, კერძო მეწარმეობის საერთაშორისო ცენტრთან (CIPE) და სოლიდარობის ცენტრთან ერთად. 29 აპრილს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა (KIU) პირველ მასშტაბურ დასაქმების ფორუმს უმასპინძლა. ფორუმისთვის გამოყოფილ სივრცეში განთავსდა საქპატენტის საგამოფენო სტენდი. საქპატენტის წარმომადგენლებმა სტუდენტებს ორგანიზაციის საქმიანობის, დასაქმებისა და სტაჟირების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია გააცნეს. 8-12 ივლისს ჩატარდა საქპატენტისა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) ერთობლივი ყოველწლიური საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შესახებ, რომელშიც სხვადასხვა ევროპული უნივერსიტეტის 19 სტუდენტი მონაწილეობდა,

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					ჩეხეთის, გერმანიის, ბელგიის, ესტონეთის, ფინეთის, იტალიის, ნორვეგიის, უკრაინის, უნგრეთის, ავსტრიის, ირლანდიის წამყვანი უნივერსიტეტებიდან. 5-დღიანი პროგრამის ფარგლებში, მონაწილეები გაეცნენ ინტელექტუალური საკუთრების სამართლის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. საზაფხულო სკოლა 2016 წლიდან ხორციელდება და მისი მიზანია სტუდენტების დაინტერესება ინტელექტუალური საკუთრების სამართლით და მათი ცოდნის გაღრმავება. სწავლებას უძღვებიან საქპატენტის თანამშრომლები, ასევე, მოწვეული ტრენერები. 9-13 სექტემბერს ჩატარდა საქპატენტისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ერთობლივი საერთაშორისო სპეციალიზაციის კურსი გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ, რომელშიც მონაწილეობა 14-მა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღო არგენტინიდან, ფილიპინებიდან, ლატვიიდან, ინდოეთიდან, უგანდიდან, ბუტანიდან, ზამბიიდან, რუანდიდან, რუმინეთიდან, ბურკინა-ფასოდან, ბანგლადეშიდან, სან-ტომე და პრინსიპიდან, უბგრეთიდან და მავრიტანიიდან. კურსი 2017 წლიდან ყოველწლიურად ხორციელდება და განკუთვნილია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების უწყების თანამშრომლებისა და შესაბამისი სამინისტროების მაღალი რანგის საჯარო მოხელეებისთვის, რომელთა საქმიანობა მოიცავს ისეთი პროდუქტების პოპულარიზაციას, რომელთა ხარისხი წარმოშობის ადგილს უკავშირდება. კურსს უძღვებიან საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები. საბოლოო ჯამში, კურსის განხორციელება ემსახურება ქვეყნის პოპულარიზაციასა და საერთაშორისო პროფესიულ წრეებში საქართველოს პოზიციონირებას. იხ. ბმული: https://www.wipo.int/academy/en/news/2024/news_0061.html 18 ივნისი 2024 წ. საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ პანელურ განხილვაში ინტელექტუალური საკუთრების მართვის აქტუალობის შესახებ. პანელური დისკუსიის დღის წესრიგი მოიცავდა უნივერსიტეტის კვლევების პერიოდში და მათი კომერციალიზების დროს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობის გაანალიზებასა და საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენას. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა - „საქპატენტი“, „ახალგაზრდა მეცნიერთა კვირეულის“ ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა.პანელური დისკუსიის ფორმატში ყურადღება გამახვილდა ეკონომიკაში კვლევების ტრანსლაციის გარემოზე, მიღწევებზე, გამოწვევებსა და პერსპექტივებზე. ღონისძიებაზე განისაზღვრა მთავარი მიზანი ეკონომიკის განვითარებაში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					სამეცნიერო ინოვაციური კვლევების როლისა და კომერციული ტრანსფერის პოტენციალის მქონე კვლევების დანერგვის შესახებ, რაც ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრაზე იქნება ორიენტირებული. ამდენად, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, განხილულ იქნა სახელმწიფო დაფინანსების სქემები, გრანტები, პროგრამები, მიღწევების ინდიკატორები. 2024 წლის 26 სექტემბერს საქპატენტის მცხეთის სათავო ოფისს ძეგვის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრის ბავშვები და მათი მშობლები ესტუმრნენ. ცენტრის ბენეფიციარებმა დაათვალიერეს საქპატენტის საგამოფენო სივრცე და გადაეცათ საქპატენტის პოლიგრაფიაში დაბეჭდილი საბავშვო ზღაპრები ინტელექტუალური საკუთრებს ობიექტების შესახებ, კომიქსები და პროექტის „კრეატიულობა და ინტელექტუალური საკუთრების სწავლება საქართველოს სკოლებში“ ფარგლებში მომზადებული შემეცნებითი სასწავლო მასალები. ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსის საგაზაფხულო სესიაზე (DL101GE24S1) სწავლება დაიწყო 12 მაისს და დასრულდა 18 ივნისს. 160 რეგისტრირებული მონაწილიდან ფინალური ტესტი დაწერა 51 (32%) მონაწილემ. მათგან გამოცდა წარმატებით ჩააბარა 41 მონაწილემ. 2024 წლის 4 დეკემბერს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს - „საქპატენტს“ წეროვანის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები სკოლის მოსწავლეები ეწვივნენ. მათი სტუმრობა ამერიკის საელჩოს პროგრამის ფარგლებში - "მობილური ამერიკული კუთხე" (U.S. Embassy Bookmobile)განხორციელდა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ინტელექტუალური საკუთრების მიმართულებით ცნობიერების ამაღლება. მოსწავლეები გაეცნენ როგორც ინტელექტუალური საკუთრების ზოგად საფუძვლებს, ასევე საქპატენტის საქმიანობას, მოისმინეს პრეზენტაციები სასაქონლო ნიშნების, პატენტებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების არსის შესახებ. საქპატენტის თავმჯდომარემ მოსწავლეებს თანამედროვე, პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით, ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ცოდნა და გამოცდილება გაუზიარა. 2024 წლის 5 დეკემბერს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – „საქპატენტს“ „მწვანე სკოლის“ მოსწავლეები ესტუმრნენ. მოზარდების ვიზიტი გასვლითი, შემეცნებითი ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა. შეხვედრა ინტერაქტიურ ფორმატში წარიმართა და ეხმიანებოდა ინტელექტუალურ საკუთრებაზე ცნობიერების ამაღლებასა და პიროვნების განვითარებაში განათლების როლზე. მოსწავლეები გაეცნენ როგორც ინტელექტუალური საკუთრების ზოგად

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					საფუძვლებს, ასევე საქპატენტის საქმიანობას, მოისმინეს პრეზენტაციები სასაქონლო ნიშნების, პატენტებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების არსის შესახებ. საქპატენტის თავმჯდომარემ მოსწავლეებს თანამედროვე, პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით, ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ცოდნა და გამოცდილება გაუზიარა. 2024 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო ლექცია, რომელსაც საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარე უძღვებოდა. ლექციის მიზანი იყო სტუდენტებისთვის ინტელექტუალური საკუთრების სფეროს უკეთ გაცნობა და ამ მიმართულებით ახალგაზრდების დაინტერესება. შეხვედრას ესწრებოდა 60-მდე სტუდენტი და აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტიდან. ლექციაზე განხილული იქნა ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების პროფესიულ განვითარებას.
8.4.2. საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტებისა და ფლაერების გამოცემა	გამოცემული საინფორმაციო ხასიათის მასალების რაოდენობა	გამოცემული ბუკლეტები და ფლაერები	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		საანგარიშო პერიოდში მომზადდა და გამოიცა 4243 ერთეული საინფორმაციო ხასიათის გამოცემა (ბუკლეტი, ფლაერი, ჟურნალი).
ამოცანა 8.5.	კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების განხორციელება				
8.5.1. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება ცნობიერების ამაღლების მიზნით	მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის ჩატარებული სამუშაო შეხვედრების და ტრენინგების რაოდენობა (არანაკლებ 3 ტრენინგი/სემინარი ან/და სამუშაო შეხვედრა)	www.sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		2024 წლის 12-13 სექტემბერს, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) ობსერვატორიის ორგანიზებით, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) სათაო ოფისში, ჟენევაში, ჩატარდა ევროპის ინტელექტუალური საკუთრების პროკურორების ქსელის (EIPPN) სამუშაო შეხვედრა. საქპატენტი 2024 წლიდან არის ახალი რეგიონული პროექტის „ევროკავშირი ინტელექტუალური საკუთრებისთვის“ (EU4IP) ბენეფიციარი. საქპატენტის შუამდგომლობით ზემოხსენებულ შეხვედრაში მონაწილეობა საქართველოს გენერალური პროკურატორის პროკურორმა მიიღო. ევროპის ინტელექტუალური საკუთრების პროკურორების ქსელის (EIPPN) სამუშაო შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ცოდნისა და ექსპერტიზის გაზიარება კოლექტიური გამოძიებისა და დევნის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად IPR-ის ტრანსსასაზღვრო დარღვევების აღმოსაფხვრელად.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
8.5.2. კონტრაფაქციული და პირატული პროდუქციის გამოვლენა, მათ შორის საზღვარზე და დამრღვევი ქმედებების აღკვეთა	გამოვლენილი და გამოძიებული საქმეების რაოდენობა	წლიური ანგარიში	ფინანსთა სამინისტრო; სსიპ შემოსავლების სამსახური	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	2024 წელს დარეგისტრირდა 239 ნიშანი. 2024 წლის განმავლობაში საბაჟო დეპარტამენტის მიერ სავარაუდოდ კონტრაფაქციული საქონლის შეჩერების შესახებ გამოიცა 184 ბრძანება. აქედან, 135 შემთხვევაში უფლების მფლობელსა და საქონლის მფლობელს შორის შედგა შეთანხმება საქონლის განადგურების თაობაზე. 21 შემთხვევაში უფლების მფლობელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში, ხოლო დანარჩენ (28) შემთხვევაში საქონელი გაშვებულ იქნა, რადგან არ/ვერ დადგინდა საქონლის კონტრაფაქციულობა.
მიზანი 9.	კონკურენციისა და ვაჭრობაში დაცვითი ზომების სფეროების განვითარება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით				
ამოცანა 9.1.	ცნობიერების ამაღლება საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებში კონკურენციისა და ვაჭრობაში დაცვითი ზომების პოლიტიკის მიმართულებით				
9.1.1. კონკურენციის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით სემინარების და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება	ჩატარებული სემინარებისა და საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო		2024 წელს გაიმართა 3 საინფორმაციო შეხვედრა და ასევე ჩატარდა ერთი საერთაშორისო კონფერენცია კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ საკთხებთან დაკავშირებით. სააგენტოს ინიციატივით და TWINNING პროექტის მხარდაჭერით, ეროვნული მარეგულირებელი უწყებების მონაწილეობით, მრგვალი მაგიდა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც განხილული იყო რეგულირებად სექტორებში კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ქართული და საერთაშორისო გამოცდილება. ღონისძიებას ესწრებოდნენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, მათ შორის მარეგულირებელი უწყებების წარმომადგენლები. სააგენტოს ინიციატივითა და TWINNING პროექტის მხარდაჭერით, მრგვალი მაგიდა გაიმართა სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. ღონისძიების მთავარ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების (კარტელების) გამოვლენისა და აღკვეთის პრაქტიკა - ადგილობრივი და ევროპული ტენდენციები. სააგენტოს წარმომადგენელმა ქ. თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-14 ფორუმში მიიღო მონაწილეობა. სესიაზე - „ადგილობრივი ბიზნესის გაძლიერება ეკონომიკური მდგრადობისთვის“ სააგენტოს წარმომადგენელმა კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის მიმართულებით განხორციელებული რეფორმები, შედეგები და მიმდინარე აქტუალური საკითხები წარადგინა. 2024 წლის 20-22 ნოემბერს, კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ, საქართველოში III საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაში მონაწილეობდა 50-ზე მეტი საერთაშორისო და ადგილობრივი სპიკერი და 300-ზე მეტი დელეგატი. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					(ICN, UNCTAD, OECD, The EU DG COMP, The EU DG JUSTICE), სხვადასხვა ქვეყნების უწყების წარმომადგენლებთან ერთად განხილული იქნა - კონკურენციისა, მომხმარებლის უფლებების დაცვისა და ანტიდემპინგური ღონისძიებების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები, გამოწვევები, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე მიღებული შედეგები და პრაქტიკა.
9.1.2. ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით სემინარების და შეხვედრების ორგანიზება კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის	ჩატარებული სემინარებისა და შეხვედრების რაოდენობა, მონაწილეთა რაოდენობა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო		2024 წლის 20-22 ნოემბერს, კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ, საქართველოში III საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაში მონაწილეობდა 50-ზე მეტი საერთაშორისო და ადგილობრივი სპიკერი და 300-ზე მეტი დელეგატი. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების (ICN, UNCTAD, OECD, The EU DG COMP, The EU DG JUSTICE), სხვადასხვა ქვეყნების უწყების წარმომადგენლებთან ერთად განხილული იქნა - კონკურენციისა, მომხმარებლის უფლებების დაცვისა და ანტიდემპინგური ღონისძიებების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები, გამოწვევები, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე მიღებული შედეგები და პრაქტიკა. კონფერენციის პირველ დღეს, 20 ნოემბერს, ჩატარდა სესია სახელწოდებით „ეფექტიანი ანტიდემპინგური პოლიტიკის განხორციელება - აღსრულების პრაქტიკა და სამომავლო პერსპექტივები“. აღნიშნულ სესიას, მათ შორის, ესწრებოდნენ კერძო სექტორის - სხვადასხვა ადგილობრივი ინდუსტრიისა და ასოციაციის წარმომადგენლები.
ამოცანა 9.2.	თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება				
9.2.1. კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ტრენინგების/სემინარებ ის/სა სწავლო ვიზიტების ორგანიზება	ჩატარებული ტრენინგების/სემინარები /სასწავლო ვიზიტების რაოდენობა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო		2024 წელს, სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურენციის პოლიტიკასა და მის აღსრულებასთან დაკავშირებით გამართულ 19 ღონისძიებაში. კერძოდ, სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ესპანეთში, ქალაქ ბილბაოში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ბუდაპეშტის რეგიონული ცენტრის (OECD-GVH RCC), ბილბაოს დეუსტოს უნივერსიტეტის და ესპანეთის ბაზრებისა და კონკურენციის ეროვნული კომისიის მიერ ორგანიზებულ სემინარში, სადაც პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით განხილული იყო კონკურენციის პოლიტიკის სამი ძირითადი მიმართულება - კარტელური შეთანხმებები, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და კონცენტრაციების კონტროლის მექანიზმები. სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო გერმანიაში, ქალაქ ბერლინში გერმანიის ფედერალური კონკურენციის უწყების (bundeskartelamt) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში, სადაც განხილული იყო კონკურენციის კანონმდებლობის სხვადასხვა სექტორებში აღსრულების მექანიზმები და გამოწვევები.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო უნგრეთში, ქალაქ ბუდაპეშტში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ბუდაპეშტის რეგიონული ცენტრის (OECD-GVH RCC) მიერ კონკურენციის უწყებების ხელმძღვანელებისათვის ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც ეხებოდა კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების აქტუალურ საკითხებსა და კონკურენციის უწყებებს შორის სხვადასხვა მიმართულებებით თანამშრომლობას. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული TWINNING-ის მიმდინარე პროექტის ფარგლებში, სააგენტოს წარმომადგენლებისთვის გაიმართა კონკურენციის პოლიტიკის აღსრულებასთან დაკავშირებით 4 ტრენინგი, კერძოდ, ტრენინგები შეეხებოდა შემდეგ თემატიკას: ✓ პირობითი ვალდებულებები ანტი-ტრასტის აღსრულებისა და კონცენტრაციების კონტროლის პროცესში; ✓ საჯარო ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა; ✓ ციფრულ ბაზრებზე კონკურენციის პოლიტიკის აღსრულება; ✓ არასამართლიანად მაღალი ფასების დაწესება. სააგენტოს თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ბუდაპეშტის რეგიონული ცენტრის (OECD-GVH RCC) და მოლდოვის რესპუბლიკის კონკურენციის საბჭოს ორგანიზებით, ქ. კიშინიოვში გამართულ სემინარში „კონკურენცია და რეგულაცია“. ამასთან, სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ბრაზილიის ეკონომიკური დაცვის ადმინისტრაციული საბჭოს (CADE) ორგანიზებით გამართულ ვებინარში "Lessons learnt in regulated sector". RBB Economics-ის წარმომადგენელმა სააგენტოში თანამშრომლებისთვის ჩაატარა სემინარები კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების აქტუალურ საკითხებზე, კერძოდ შესაბამისი ბაზრის განსაზღვრასა და ჭარბი ფასნამატის გამოთვლასთან დაკავშირებით. სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ბუდაპეშტის რეგიონული ცენტრის (OECD-GVH RCC) ორგანიზებით, ქ. ბუდაპეშტში, გამართულ სემინარში “შეთანხმება ტენდერებში“. სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის, მსოფლიო ბანკისა და სომხეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის კომისიის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, რომლის მთავარი თემატიკაც გახლდათ კონკურენციის პოლიტიკის აღსრულება და სახელმწიფო დახმარებების კონტროლი.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					სააგენტოს წარმომადგენელმა ICN-ის ქსელის ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ონლაინ ფორმატში გამართული შეხვედრის თემას წარმოადგენდა: მდგრადობის გათვალისწინება კონკურენციის უწყებების ყოველდღიურ საქმიანობაში: პრაქტიკული საკითხები და გამოწვევები. სააგენტოს სასწავლო კვლევითი ცენტრის ორგანიზებით, სააგენტოს თანამშრომლებისთვის მოლაპარაკების უნარებში ორდღიანი ტრენინგი გაიმართა, რომლის მიზანიც იყო თანამშრომელთა კვალიფიკაციის გაძლიერება, დაინტერესებულ მხარეებთან სწორი და ეფექტიანი კომუნიკაციის პროცესის მართვა, წარმატებული მოლაპარაკების ტექნიკების შესწავლა, საჭირო თეორიული ცოდნის მიღება და მისი პრაქტიკაში დანერგვა. სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ბუდაპეშტის რეგიონული ცენტრის (OECD-GVH RCC) მიერ მონტენეგროს დედაქალაქში ქ.პოდგორიცაში ორგანიზებულ სემინარში „ანტიმონოპოლიური აღსრულების ეფექტურობის გაზრდის ინსტრუმენტები“ მიიღო მონაწილეობა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების მიმართულებით, მონაწილეთა შორის გამოცდილების გაცვლა და ექსპერტპრაქტიკოსების მეშვეობით გამორჩეული პრაქტიკული მაგალითების გაზიარება. ქ. ბრიუსელში, სააგენტოს წარმომადგენლებმა ევროკომისიის კონკურენციის გენერალური დირექტორატის(DG-COMP) ორგანიზებით გამართულ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც ეხებოდა ევროკავშირის გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის სფეროში შემავალი ქვეყნებისთვის, სახელმწიფო დახმარებისა და კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების საკითხებს. სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ევროკომისიის კონკურენციის გენერალური დირექტორატის(DG-COMP) და უნგრეთის კონკურენციის უწყების ორგანიზებით ბუდაპეშტში გამართულ სემინარში, რომელიც ეხებოდა კონკურენციის სამართლის აღსრულების და ადვოკატირების მიმართულებით მიღებულ შედეგებსა და გამოწვევებს. სააგენტოს სასწავლო კვლევითი ცენტრის ორგანიზებით, სააგენტოს თანამშრომლებისთვის - ეფექტური საჯარო გამოსვლისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გაუმჯობესების და სიტყვით გამოსვლისას აუდიტორიის მართვის ძირითადი პრინციპების შესწავლის მიზნით გაიმართა ორ კვირიანი სასწავლო კურსი.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					სააგენტოს წარმოამდგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთში, ქ. პარიზში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის(OECD) მიერ ორგანიზებულ კონკურენციის გლობალურ ფორუმში. სადაც, განხილვის საგანს წარმოადგენდა - კონკურენციის პოლიტიკის გაძლიერება, საერთაშორისო პრაქტიკის, ტენდენციების, მიღებული შედეგების, გამოწვევის გაზიარება და სამომავლო, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა. მათ შორის, სამუშაო შეხვედრების ფორმატში, მონაწილეებმა მიმოიხილეს - კონცენტრაციების კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები, სურსათის მიწოდების ჯაჭვის შეუფერხებელი მუშაობის სპეციფიკა, რისკ-ფაქტორები და პრევენციული ღონისძიებები.
9.2.2. ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება	ჩატარებული ტრენინგების/სემინარები ს/სასწავლო ვიზიტების რაოდენობა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო		სააგენტოს წარმომადგენლებმა 2024 წელს ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გაიარეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO)-ს კურსის (i-trade)-ის მოდულები, რომლებიც ეხება ანტიდემპინგური შესწავლის პროცედურის განხორციელების პრაქტიკულ ასპექტებს.
მიზანი 10.	მდგრადი განვითარების ხელშეწყობა				
ამოცანა 10.1.	ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა და კონსერვაციის ხელშეწყობა				
10.1.1 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და FAO/GFCM-ს შორის მჭიდრო და უწყვეტი თანამშრომლობის ფარგლებში, პრიორიტეტულ სახეობებზე კვლევის ჩატარება შავი ზღვის არეალზე -კამბალას სახეობაზე, რაპანას სახეობაზე	BlackSea4Fish პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების რაოდენობა თევზის შესაბამის სახეობებზე	DCFTA-ს განხორციელება ის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობი ს დეპარტამენტი	• 2024 წლის 15 აგვისტოს დასრულდა სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოსა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას (FAO) შორის 2023 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით/შეთანხმების წერილით "სტანდარტიზებული სამეცნიერო კვლევა ბიმ ტრალით რაპანაზე საქართველოს სანაპირო წყლებში" გათვალისწინებული აქტივობები. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, კვლევის პირველი ეტაპი განხორციელდა 2023 წლის ნოემბერი-დეკემბრის პერიოდში, ხოლო მეორე - 2024 წლის მაისში. სამეცნიერო-კვლევითი მიზნით რაპანის მოპოვება წარმოებდა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს გონიო-ანაკლიის აკვატორიაში წინასწარ შერჩეულ 23 სადგურზე სპეციალიზებული ბადე-იარაღის - ბიმ-ტრალის გამოყენებით. განხორციელდა მოპოვებული მასალის ლაბორატორიული კვლევა, განისაზღვრა რაპანის ზრდა-ასაკობრივი მაჩვენებლები, მომზადდა მონაცემთა ბაზა GFCM-ის სამდივნოს მიერ მოწოდებული შაბლონების მიხედვით (TA, TB, TC, TE, TL ფორმატში), და განისაზღვრა შავი ზღვის საქართველოს სანაპირო წყლებში რაპანის სიმრავლისა და ბიომასის სტანდარტიზებული ინდექსები (BioIndex R). ასევე, მომზადდა და წარდგენილი იქნა რაპანის კვლევის ამსახველი ანგარიშები, მათ შორის ორი საკრუიზო, ერთი შუალედური და ერთი საბოლოო ტექნიკური და ფინანსური ანგარიშები.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					• გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს შორის 2024 წლის 29 ივლისს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება/შეთანხმების წერილი გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის (GFCM) პროექტის „თევზჭერა და ეკოსისტემური მართვა შავ ზღვაში“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია გლობალური ეკოლოგიური ფონდის (GEF) მიერ, „ცნობიერების ამაღლება და მონაცემთა შეგროვება საქართველოს შერჩეულ სახეობებზე“ უზრუნველყოფის მიზნით. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა პერიოდი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2024 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი აქტივობები დასრულებულია. ამჟამად მიმდინარეობს დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრის მომზადება. • FAO-სა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს შორის 2024 წლის 11 სექტემბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება ,,ექსპერიმენტული დემერსალური ტრალური კვლევა საქართველოს წყლებში (GSA 29)” განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 2025 წლის 31 ივლისის ჩათვლით პერიოდი. ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდება შავი ზღვის პრიორიტეტული ფსკერული თევზის სახეობების (ხონთქარა, მერლანგი, კატრანი, კამბალა) პოპულაციების მდგომარეობის შესწავლა. ამჟამად მიმდინარეობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მოსამზადებელი ეტაპი. • გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და FAO/GFCM-ს შორის მჭიდრო და უწყვეტი თანამშრომლობის ფარგლებში, იგეგმება პრიორეტულ სახეობებზე კვლევის ჩატარება შავი ზღვის არეალში (ქაფშია, სტავრიდა, მერლანგი, კამბალა, რაპანა, ხონთქარა). იგეგმება ჰიდროაკუსტიკური კვლევის მეთოდების ჰარმონიზაციის პროცესი დაწყება FAO/GFCM-თან თანამშრომლობის ფარგლებში, რეგიონული ტრენინგების და სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ჩატარება. • მიმდინარეობს მოლაპარაკებების პროცესი ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალურ კომისიასთან (GFCM) მიმდინარე BlackSea4Fish პროექტის ფარგლებში, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან 2024 წლის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით საქართველოში, შავ ზღვაში არსებული თევზის სახეობების მონაცემების შეგროვების მიზნით. • გარდა აღნიშნულისა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და FAO/GFCM-ს შორის თანამშრომლობის

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					ფარგლებში, e-learning ფორმატში კურსები ჩატარდა მოლუსკების სანიტაციაზე.
10.1.2. ტყის მდგრადი მართვის შედეგად წარმოებული ხე-ტყის ნაწარმით ვაჭრობის ხელშეწყობა.	ქვეყანაში მოწყობილი 15 საქმიანი ეზო	DCFTA-ს განხორციელება ის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2024 წელს, სრულად დაკომპლექტდა ადამიანური რესურსით 15 საქმიანი ეზო საქართველოს სამ რეგიონში: გურიაში, კახეთსა და თიანეთში. 1) გურია: შემოქმედი, ქვენობანი, ლანჩხუთი, ფარცხმა. 2) კახეთის რეგიონი: ხოდაშენი, კისისხევი, ახმეტა, ფშაველი, ენისელი, ჭიკაანი, ოზაანი. 3) თიანეთის რეგიონი: თიანეთი, ხევსურთსოფელი, ყუდრო, კანატია. აღნიშნულ საქმიან ეზოებში დასაქმებულია 105 თანამშრომელი შემდეგ პოზიციებზე: მენეჯერი, ოპერატორი, დამხმარე სპეციალისტი (მძღოლი), დამხმარე სპეციალისტი (მუშა), დარაჯი. 2024 წელს განხორციელდა საქმიანი ეზოების მშენებლობა შემდეგ რეგიონებში: იმერეთი კახეთი, რაჭა, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამეგრელო - ზემო სვანეთი, სამცხე. 1) იმერეთი: ვანი; 2) საჩხერე: კორბოული, ხრეითი, გრიგალათი, ხევი. 3) კახეთი: მანავი. 4) რაჭა: ნიკორწმინდა, წიფერჩი. 5) ქვემო ქართლი: მამხუტი, წალკა, ალექსეევკა. 6) შიდა - ქართლი: ოსიაური. 6) სამეგრელო - ზემო სვანეთი: სენაკი, ხაბუმე, ხამისკური. 7) სამცხე: ზარზმა, აწყური.
10.1.3. სატყეო ღონისძიებებისათვის საჭირო ტექნიკის უზრუნველყოფა	სატყეო ღონისძიებებისათვის შეძენილია 50 ერთეული ტექნიკა	DCFTA-ს განხორციელება ის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	• 2024 წელს შესყიდული ტექნიკის რაოდენობა: 9 სატვირთო თვითმცლელი (6*6) შეშის სატარებლად (ტყიდან), 2 სატვირთო ჰიდრომანიპულატორით (6*6) მორების სატარებლად (ტყიდან), 4 სატვირთო თვითმცლელი (4*2) შეშის სატარები საბიუჯეტო ორგანიზაციებში - 4.5კბმ ტრანსპორტირება, 3 სატვირთო თვითმცლელი (8*4) შეშის სატარები საბიუჯეტო ორგანიზაციებში - 15კბმ ტრანსპორტირება, 1 ევაკუატორი - ბაქნიანი ლაფეტი, 2 ექსკავატორი, 3 ბულდოზერი, 9 კვადროციკლი, 1 უნაგირასაწევარა. 2024 წელს სულ შეძენილია 34 სატყეო ტექნიკა. • 15 საქმიანი ეზოს მოწყობის პროცესი დასრულდა კახეთის მცხეთა-მთიანეთისა და გურიის რეგიონების შესაბამის მუნიციპალიტეტებში/სოფლებში:1)გურია:შემოქმედი; ქვენობანი, ლანჩხუთი, ფარცხმა. 2)კახეთის რეგიონი:ხოდაშენი; კისისხევი; ახმეტა; ფშაველი; ენისელი; ჭიკაანი; ოზაანი, თიანეთის რეგიონი 3) თიანეთი; ხევსურთსოფელი; ყუდრო; კანატია.
ამოცანა 10.2.	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების/ხელშეკრულებების შესრულება				
10.2.1. ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შესრულების სამოქმედო გეგმის (2021-2023) განხორციელების საბოლოო ანგარიშის მომზადება	მომზადებული კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის (2021-2023) საბოლოო ანგარიში	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდი www.mepa.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შესრულების სამოქმედო გეგმის (2021-2023) განხორციელების საბოლოო ანგარიში მომზადებულია და განთავსებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე.
10.2.2. ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC)	შემუშავებული პროექტის ტექნიკური დავალება;	DCFTA-ს განხორციელება ის	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის		საქართველოს ეროვნულად განსაზღვრული წვლილის (NDC) განახლება, ე.წ. NDC 3.0-ის მომზადება დაიწყო 5 სექტემბერს. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და NDC პარტნიორობის

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
დოკუმენტის განახლების მუშაობის დაწყება	შერჩეულია მინიმუმ 3 ექსპერტი; ჩამოყალიბებულია მინიმუმ 2 სამუშაო ჯგუფი	სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	მეურნეობის სამინისტრო		(NDC Partnership) მხარდაჭერით შემუშავდა დოკუმენტის პარამეტრები და აღნიშნულის საფუძველზე ჩამოყალიბდა დოკუმენტის შემუშავების ტექნიკური დავალება. ამის შემდეგ შერჩეულ იქნენ შესაბამისი ექსპერტები (სულ 12 ექსპერტი). 2024 წლის 5 სექტემბერს გაიმართა შეხვედრა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, სადაც ოფიციალურად გამოცხადდა NDC 3.0-ის შემუშავების დაწყება. აღნიშნულის შემდგომ ჩამოყალიბდა 10 სამუშაო ჯგუფი - ადაპტაცია, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, განათლება, ნარჩენები, ენერგიის გენერაცია და გადაცემა, მრეწველობა, შენობები, ტრანსპორტი და მიწათსარგებლობა, ცვლილება მიწათსარგებლობაში და სატყეო მეურნეობა (LULUCF). ამ ჯგუფებში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა დაინტერესებულ მხარეს. 4 ნოემბერს გაიმართა საჯარო შეხვედრა, სადაც სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს წარედგინათ სამუშაო ჯგუფების მუშაობის პირველი შედეგები და მოხდა მომავალი NDC 3.0-ის პარამეტრების პრეზენტაცია.
10.2.3. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი (UNFCCC) საქართველოს მე-5 ეროვნული შეტყობინებისა (FNC) და პირველი ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიშის (BTR) მომზადება	სათბურის გაზების განახლებული ეროვნული ინვენტარიზაცია მომზადებული საქართველოს მე-5 ეროვნული შეტყობინებისა (FNC) და პირველი ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიშის (BTR) საბოლოო ვერსიები	DCFTA-ს განხორციელება ის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი (UNFCCC) საქართველოს მეხუთე ეროვნული შეტყობინებისა (5NC) და პირველი ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიშის საბოლოო ვერსია (1st BTR) შემუშავებულია. ასევე განახლდა სათბურის გაზების ეროვნული ინვენტარიზაცია, რომელიც შეიცავს მონაცემებს 2022 წლის ჩათვლით.
ამოცანა 10.3.	შრომის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად				
10.3.1. დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება შრომითი ნორმების შესახებ	საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრებისა და გაწეული კონსულტაციების რაოდენობა; მომზადებული თემატური მასალების რაოდენობა	შრომის ინსპექციის წლიური ანგარიში lio.moh.gov.ge	სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საანგარიშო პერიოდში შრომით ნორმებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა 525 საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრა, მათ შორის: **37 სამუშაო შეხვედრა** - საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხოურ დელეგაციასთან და ადგილობრივ უწყებებთან; - **8 საინფორმაციო შეხვედრა** - ზოგადად სამსახურის საქმიანობის შესახებ, რომელსაც 225-მდე პირი ესწრებოდა; - **2 საინფორმაციო შეხვედრა** - სტუდენტებთან ზოგადად სამსახურის საქმიანობის შესახებ, რომელსაც 110-მდე პირი ესწრებოდა; - **181 ობიექტზე** - შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიმართულებით ცნობიერების ამაღლების ფარგლებში განხორციელდა ვიზიტი ქვეყანაში ოპერირებად დამსაქმებელთან, რომლის ფარგლებშიც კონსულტაცია შეეხო ჯამში 2230 დასაქმებულს;

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					- **297 ობიექტზე** - წინასაახალწლო დღეებში შრომითი უფლებების ეფექტურად აღსრულების მიზნით ცნობიერების ამაღლების ფარგლებში, სამუშაო დროსთან და ზეგანაკვეთურ შრომასთან დაკავშირებით განხორციელდა ვიზიტი ოპერირებად დამსაქმებელთან, რომლის ფარგლებშიც კონსულტაცია შეეხო ჯამში 1563 დასაქმებულ. აქვე, აღსანიშია, რომ სამსახურის მიერ ჯამში მომზადდა და გაიგზავნა 186 სარეკომენდაციო წერილი. აქვე აღსანიშნავია, რომ ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადდა **49 საინფორმაციო მასალა,** მათ შორის: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით ინგლისურ ენებზე ითარგმნა შრომის კანონმდებლობასთან დაკავშირებული **17 ნორმატიული აქტი** და განთავსდა სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ვებგვერდზე (იხ. ბმული: https://lio.moh.gov.ge/low.php?lang=2). გარდა ამისა, აღნიშნული მასალები ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. მომზადდა და სოციალური ქსელებით, სამსახურის ვებგვერდითა და ტელევიზიით გავრცელდა შრომით ნორმებთან დაკავშირებული 12 საინფორმაციო ვიდეორგოლი. ასევე, მომზადდა და სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნდა 3 პუბლიკაცია: 1. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფი“(EU4Gender Equality Reform Helpdesk) მხარდაჭერით შემუშავებული გენდერულად პასუხისმგებლიანი შრომის ინსპექცია; სახელმძღვანელო პრინციპები საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახურისთვის. (ქართულ ენაზე) 2. გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შემუშავებული სახელმძღვანელო რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ამოცნობისა და პრევენციის მიმართულებით (ინგლისურ და ქართულ ენაზე. 3. გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის - “ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში, ექსპერტული მხარდაჭერით შემუშავებული "დასაქმებული ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალებისთვის მავნე ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველი სამუშაო გარემოს შეფასების პრაქტიკული სახელმძღვანელო"; (ინგლისურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და ქართულ ენაზე); პუბლიკაციები იხ ბმული https://lio.moh.gov.ge/publication.php?lang=1&id=1) გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში: მომზადდა ელექტრონული სასწავლო კურსი შრომის უსაფრთხოების თემატურ საკითხზე (დასაქმებული ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალებისთვის მავნე ან/და

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					განსაკუთრებული რისკის შემცველი სამუშაო გარემოს შეფსების შესახებ), რომელიც ტექნიკური მოთხოვნების სრულყოფის შესაბამისად 2025 წელს იქნება ხელმისაწვდომი შრომის ინსპექტორებისა და საზოგადოებისთვის; - სამსახურის საკონსულტაციო ცენტრის/ცხელი ხაზის (1575) მიერ კონსულტაცია გაეწია 12 145 შემომავალს ზარს. სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობების პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით განახლდა მონაცემები საჯარო ინფორმაციის გვერდსა (https://lio.moh.gov.ge/publiclist.php?lang=1) და სტატისტიკური ინფორმაციის ბლოკში (https://lio.moh.gov.ge/stat.php?lang=1&id=20221227182608643964083 5)
10.3.2. დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა შრომის შესახებ	ბავშვთა შრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების, დაბეჭდილი და გავრცელებული ბუკლეტების რაოდენობა	www.moh.gov.ge www.lio.moh.gov.ge	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური	საანგარიშო პერიოდში შრომით ნორმებზე, მათ შორის, ბავშვთა შრომის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელდა 525 საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრა, მათ შორის: - **37 სამუშაო შეხვედრა** - საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხოურ დელეგაციასთან და ადგილობრივ უწყებებთან; - **8 საინფორმაციო შეხვედრა** - ზოგადად სამსახურის საქმიანობის შესახებ, რომელსაც 225-მდე პირი ესწრებოდა; - **2 საინფორმაციო შეხვედრა** - სტუდენტებთან ზოგადად სამსახურის საქმიანობის შესახებ, რომელსაც 110-მდე პირი ესწრებოდა; - **181 ობიექტზე** - შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიმართულებით ცნობიერების ამაღლების ფარგლებში განხორციელდა ვიზიტი ქვეყანაში ოპერირებად დამსაქმებელთან, რომლის ფარგლებშიც კონსულტაცია შეეხო ჯამში 2230 დასაქმებულს; - **297 ობიექტზე** - წინასაახალწლო დღეებში შრომითი უფლებების ეფექტურად აღსრულების მიზნით ცნობიერების ამაღლების ფარგლებში, სამუშაო დროსთან და ზეგანაკვეთურ შრომასთან დაკავშირებით განხორციელდა ვიზიტი ოპერირებად დამსაქმებელთან, რომლის ფარგლებშიც კონსულტაცია შეეხო ჯამში 1563 დასაქმებულ. აქვე, აღსანიშია, რომ სამსახურის მიერ ჯამში მომზადდა და გაიგზავნა 186 სარეკომენდაციო წერილი. გარდა ამისა, მომზადებული საინფორმაციო მასალებიდან უშუალოდ **მინიმალური ასაკისა და არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების კუთხით** მომზადდა და გავრცელდა **1 ვიდეორგოლი.** ამასთანავე. შემუშავდა **1 ბუკლეტის ტექსტი,** რომლის გავრცელება განხორციელდება 2025 წლის საანგარიშო პერიოდში. აქვე აღსანიშნავია, რომ შრომით ნორმებზე ზედამხედველობის ფარგლებში მუდმივად ხორციელდა ბავშვთა შრომის შესახებ

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					ინფორმაციის გაზიარება სამუშაო ადგილებზე დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების მიზნით. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია, რომ საანგარიშო პერიოდში სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელდა 5406 აქტივობა (პირველადი და შემდგომი ინსპექტორები, დარღვევების აღმოფხვრამდე, მონიტორინგი) 3191 ობიექტზე (პირველადი ინსპექტირების ფარგლებში შემოწმებული ობიექტები და მონიტორინგის შედეგად შემოწმებული ობიექტები). აქვე აღსანიშნავია, რომ განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში 18 წლამდე პირთა მიმართ გამოვლენილი შრომითი ნორმების დარღვევები საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული 18 წლამდე არასრულწლოვანის შრომითი უფლებების აღსრულებაზე ზედამხედველობის შედეგად 2024 წლის საანგარიშო პერიოდში დარღვევა გამოვლინდა 9 სამუშაო ადგილზე 30 არასრულწლოვანთან მიმართებით, მათ შორის: საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ განსაზღვრული ნორმების დარღვევა 7 სამუშაო ადგილზე, 28 არასრულწლოვანთან მიმართებით; საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მეხუთე მუხლის მეექვსე პუნქტის დარღვევა 2 სამუშაო ადგილზე, 2 არასრულწლოვანთან მიმართებით;
10.3.3. სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება	შრომის ინსპექტორთა შესაძლებლობების ზრდის მიზნით გატარებული ღონისძიებების რაოდენობა	შრომის ინსპექციის წლიური ანგარიში - www.lio.moh.gov.ge	სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2024 წლის საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექციის სამსახურმა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ორგანიზაციების მხარდაჭერით თანამშრომლებისათვის ჩაატარა 27 მოკლევადიანი და გრძელვადიანი ტრენინგი 16 თემატურ საკითხზე. მათ შორის, თანამშრომელთა შიდა გადამზადების გეგმის შესაბამისად (I, II და III საფეხურის ფარგლებში) განხორციელდა შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების მიმართულებით ახლად დასაქმებულ თუ მოქმედ შრომის ინსპექტორთა ტრენინგი. აქვე აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში თანამშრომელთა პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით შემუშავებულ იქნა/მზადების პროცესშია **6 სახელმძღვანელო დოკუმენტი**. მათ შორის: გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით სამსახურის უშუალო ჩართულობით დასრულდა მუშაობა შრომის ინსპექტორთათვის სახელმძღვანელო პრინციპებზე "სამუშაო ადგილზე რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ამოცნობა და პრევენცია" **(ინგლისურ და ქართულ ენებზე)**, რომლის შესაბამისად განხორციელდა თანამშრომელთა

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					გადამზადების სერია, მათ შორის, ტრენერთა ტრენინგი და თანმხლები ტრენინგები თანამშრომელთა ჩართულობით; გარდა ამისა, მიმდინარეობს მუშაობა გონივრული მისადაგების პრინციპების დაცვასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელოზე, რომლის შესაბამისადაც, ასევე, დაგეგმილია ინსპექტორთა გადამზადების სერია. ევროკავშირის გენდერული თანასწორობის პროექტის ფარგლებში დასრულდა მუშაობა შრომის ინსპექტორთათვის სახელმძღვანელო პრინციპებზე "გენდერულად პასუხისმგებლიანი შრომის ინსპექცია", რომლის შესაბამისადაც დაგეგმილია თანამშრომელთა გადამზადების სერია. (სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე, სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე, პუბლიკაციების ბლოკში) გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით შემუშავდა შრომის ინსპექტორთასთვის სახელმძღვანელო პრინციპები "დასაქმებული ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალებისთვის მავნე ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველი სამუშაო გარემოს შეფასებ"-ის შესახებ (სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე), რომლის შესაბამისადაც შემუშავდა **ელექტრონული სასწავლო კურსი. გარდა ამისა,** ორგანიზაციის მხარდაჭერით სამუშაო ადგილებზე თანაბარი ანაზღაურების პრინციპებზე ზედამხედველობის სახელმძღვანელო პრინციპებსა და მისი გამოყენების ინსტრუქციაზე შემუშავდა გაიდლაინი და გადამზადდნენ ამ მიმართულებით ზედამხედველობის განმახორციელებელი შრომის ინსპექტორები. აქვე აღსანიშნავია, რომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფარგლებში შემუშავდა **შრომით ურთიერთობებში გენდერულ თანასწორობაზე სახელმძღვანელო**, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა თანამშრომელთა გადამზადება. აქვე, აღსანიშნავია, რომ მიგრაციის თემატიკის მიმართულებით გადამზადდენ შრომის ინსპექტორები სამართლიანი და ეთიკური დასაქმების საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფილ იქნა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით. ასევე, ეუთოს მხარდაჭერით ჩატარდა სიმულაციური ტრენინგი ტრეფიკინგის მიმართულებით. ევროპის საბჭოს პროექტის “სოციალური და ეკონომიკური უფლებების განმტკიცება საქართველოში“ მხარდაჭერით თანამშრომლები გადამზადნენ დამარწმუნებელი კომუნიკაციის ტექნიკებსა და მენეჯერული უნარების მიმართულებით. ევროპის საბჭოს პროექტის - „თანასწორობის გაძლიერება და დისკრიმინაციის დაუშვებლობა საქართველოში“ ფარგლებში სსიპ-

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
					შრომის ინსპექციის სამსახურისა და სახალხო დამცველის ოფისის ჩართულობით სამშენებლო და მომსახურების სექტორის წარმომადგენლები და ახლად დასაქმებული შრომის ინსპექტორები გადამზადდნენ თემაზე - „თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციის აღმოფხვრა: პრევენცია და რეაგირების მექანიზმები“. ასევე, ამავე პროექტის ფარგლებში ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართულებით ტრენერთა ტრენინგის ფარგლებში გადამზადნენ სამსახურის თანამშრომლები. გარდა ამისა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით თანამშრომლები გადამზადდნენ იძულებითი შრომის/ ტრეფიკინგის მსხვერპლთა ინტერვიუს განხორციელების მიზნით ფსიქო-სოციალური ასპექტების მიმართულებით.
10.3.4 სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ფუნქციონირება კანონმდებლობით განსაზღვრული, გაფართოებული მანდატის შესაბამისად	წლის განმავლობაში შემოწმებული ობიექტების, განხორციელებული ინსპექტირებებისა და გაცემული მითითებების რაოდენობა; ობიექტების მაჩვენებელი, რომელთაც სრულად გაითვალისწინეს გაცემული მითითებები; დასაქმებულთა რაოდენობა, რომელთაც შეეხო განხორციელებული ინსპექტირებები	შრომის ინსპექციის წლიური ანგარიში - www.lio.moh.gov.ge	სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საანგარიშო პერიოდში სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ "შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით შრომით ნორმებზე ზედამხედველობისას განხორციელდა **5406** აქტივობა (პირველადი და შემდგომი ინსპექტორები, დარღვევების აღმოფხვრამდე, მონიტორინგი) **3191** ობიექტზე. ზედამხედველობა ჯამში 114 000-მდე დასაქმებულ პირს შეეხო. აქვე აღსანისნავია, რომ ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად სამსახურის მიერ გაცემულ იქნა **23 015** მითითება. **გაცემული მითითებები 1292 ობიექტის მიერ იქნა სრულად გათვალისწინებული.**
10.3.5 სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის რეგულარული შეხვედრების უზრუნველყოფა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხების განხილვა	სამმხრივი კომისიის და კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა	სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომის ოქმები	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის წევრი უწყებები/ორგანიზაციები	სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის და ამავე კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრები ჩატარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
მიზანი 11.	DCFTA-ს განხორციელების ეფექტიანი კოორდინაციის და კომუნიკაციის უზრუნველყოფა				
ამოცანა 11.1.	DCFTA-ის სარგებელის, შესაძლებლობებისა და უპირატესობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება				
11.1.1. DCFTA-ს შესახებ ვებ - ვერდის ეფექტიანი ფუნქციონირება	ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობა; გამოქვეყნებული საკანონმდებლო აქტების პროექტების რაოდენობა	www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		2024 წლის განმავლობაში საიტს ეწვია 7.3 ათასი ახალი მომხმარებელი. საქართველოს გარდა, ვებ-გვერდს სტუმრობდნენ აშშ-დან, გერმანიიდან, ჩინეთიდან, თურქეთიდან და სხვ. dcfta.gov.ge ვებგვერდზე 2024 წლის განმავლობაში ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან დაახლოების მიზნით შემუშავებული 10-ზე მეტი მთავრობის დადგენილების/ტექ. რეგლამენტის პროექტი იქნა განტავსებული კომენტარებისთვის.
11.1.2. DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა და ინფორმირებულობის მიზნით DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		2024 წლის განმავლობაში საბჭოს და საკონსულტაციო ჯგუფის მხრიდან შეხვედრის ორგანიზების მიზნით მომართვა არ განხორციელებულა
11.1.3 DCFTA-ს შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით თემატური შეხვედრები ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		აქტივობის განხორციელება იგეგმება 2025 წლის მომდევნო კვარტლებში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	**შესრულების ანგარიში**
ამოცანა 11.2.	საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირების ხელშეწყობა ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი განხორციელებისთვის				
11.2.1. DCFTA-ის განხორციელების უწყებათაშორისი ქვეკომისიის შეხვედრების ორგანიზება	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		2024 წლის 18 ივნისს საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო საკითხებზე ასოცირების კომიტეტის ფარგლებში ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტის და მის ფარგლებში არსებული სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმის მორიგი შეხვედრა გაიმართა
11.2.2. DCFTA-ის განხორციელების 2024-2027 წლების საშუალოვადიანი გეგმის შემუშავება	მიღებულია DCFTA-ის განხორციელების საშუალოვადიანი გეგმა	www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2024 წლის №1-1/127 ბრძანებით დამტკიცდა DCFTA-ის) განხორციელების საშუალოვადიანი (2024-2026 წლების) სამოქმედო გეგმა. 2024 წლის 30 დეკემბრის № 1-1/495 ბრძანებით დამტკიცდა 2025 წლის სამოქმედო გეგმა.
11.2.3 DCFTA-ს განხორციელების ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების შემუშავება და გამოქვეყნება	მომზადებული DCFTA-ს განხორციელების ანგარიშები	www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		მომზადდა DCFTA-ის განხორციელების 2024 წლის III კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც გამოქვეყნებულია dcfta.gov.ge ვებ გვერდზე.